დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ- მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარ - სვურიშის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: **თამარ აბაზაძე**-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი.

წევრები:

კახაბერ ფარცვანია- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
ირმა შალიკიანი -საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ქეთევან ლარცულიანი-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
სალომე ასათიანი -უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
თეონა ჯაფარიძე- ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ნათია გაგნიძე- ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
ირმა ხუნდაძე- სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
მაია ჩაჩხიანი -მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
ალექსანდრე ჩახნაშვილი- სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ნინო ჭანტურიძე-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარ-სგურიშის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	235894421

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭუბერი
ფაქტობრივი მისამართი	მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭუბერი, ყარ-სგურიში
საფოსტო ინდექსი	3200
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Kar-Sgurishi@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	სკოლას ტელეფონი არ აქვს

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	**MES 7 26 0000447063 17.04**
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	**13,14 მაისი 2026 წელი**

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელი ყარ-სგურიში შენობა-ნაგებობების რაოდენობა 1 (ერთი)
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელი ყარ-სგურიშის შენობა-ნაგებობების რაოდენობა 1 (ერთი)

3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელი ყარ-სგურიშის შენობა-ნაგებობების რაოდენობა 1 (ერთი)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: ---------- **120**	**ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება** ☒	**აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება	

	☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამი დასახელება)*	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი *N 1.1.1.3.*	***სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით***	***რეკომენდაცია:*** *შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, სკოლამ შეიმუშაოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით მკაფიო, თანმიმდევრული და მომავალზე ორიენტირებული ხედვა, რომელიც ასახავს სკოლის გრძელვადიან მისწრაფებებსა და სასურველ მდგომარეობას განსაზღვრული დროის შემდეგ. (2026 წლის სექტემბერი)*
N 1.1.1.4	***სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ***	***რეკომენდაცია:*** *სკოლამ უზრუნველყოს მისიის, ხედვისა და ღირებულების სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2026 წლის სექტემბერი)*
N 1.1.1.5.	***სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი***	***რეკომენდაცია:*** *შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს სკოლის ფილოსოფიის საჯაროობა. მისი განთავსება სასკოლო სივრცესა და სკოლის ვებ გვერდზე (2026 წლის სექტემბერი)*
N 1.2.1.2.	***სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს***	***რეკომენდაცია:*** *სკოლამ შეიმუშაოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში ,შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც დაეფუძნება სკოლის საჭიროებების ანალიზს, განსაზღვრავს სკოლის განვითარების ხედვას, სტრატეგიულ მიზნებს, ამოცანებს, შესრულების ინდიკატორებს, პასუხისმგებელ პირებს, ვადებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. სტრატეგიული გეგმა მიზანშეწონილია დამტკიცდეს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით და გახდეს სკოლის წლიური სამოქმედო გეგმების საფუძველი. (2026 წლის სექტემბერი)*
N 1.2.1.3.	***სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას***	***რეკომენდაცია:*** *სკოლამ უზრუნველყოს 2026-2027 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №448 ბრძანებით დამტკიცებულ საჯარო სკოლის წესდების შესაბამისად ,შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში. (2026 წლის სექტემბერი)*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

N 1.2.2.1.	**სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**	**რეკომენდაცია:** სკოლამ უზრუნველყოს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში უფლებამოსილი პირის მიერ ცვლილების განხორციელება კერძოდ, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის ფორმის, შინაარსის და პერიოდულობის განსაზღვრა, შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადებში. (2026 წლის სექტემბერი)
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N 3.1.2.4.	**პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**	**რეკომენდაცია:** შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში შერჩეულ იქნ კვალიფიციური კადრი. (2026 წლის სექტემბერი)
N 3.2.1.1.	**ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**	**რეკომენდაცია:** სკოლამ შექმნას ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი,შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2026 წლის სექტემბერი) რომელიც პასუხისმგებელი იქნება ხარისხი უზრუნველყოფის პროცესების ორგანიზებაზე, თვითშეფასების შედეგების ანალიზზე, პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებასა და შესაბამისი განვითარების ღონისძიებების დაგეგმვაზე.
N 3.4.1.1.	**სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან**	**რეკომენდაცია:** უზრუნველყოს სკოლამ შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადებში 1.შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადებითი დასკვნის მოპოვების მიზნით მიწერილობის მომზადება და გაგზავნა შესაბამის უწყებასთან. (2026 წლის სექტემბრამდე) 2.საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ უწყებასთან (2026 წლის სექტემბრამდე) 3. შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება (2027 წლის ივნისამდე)

	შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	
N 3.4.1.2.	**სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**	**რეკომენდაცია:** *სკოლამ მიიღოს შესაბამისი ორგანიზაციული და ადმინისტრაციულ ღონისძიებები, მითითებულ ვადებში. (2026 წლის სექტემბერი) რათა სკოლის ტერიტორიაზე უზრუნველყოფილი იყოს პირველადი დახმარების დროული აღმოჩენა მოქმედი ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობისა და სკოლაში სამედიცინო მომსახურების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შესაბამისად.*
N 3.5.1.1.	**სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**	**რეკომენდაცია:** *უზრუნველყოს სკოლამ საჯარო რეესტრის ამონაწერის განახლება მასში სსიპ მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარსგურიშის საჯარო სკოლის ასახვ მიზნით (2026 წლის სექტემბერი)*
N 3.5.1.3	**სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**	**რეკომენდაცია:** *სკოლამ უზრუნველყოს სკოლის ბიბლიოთეკის სივრცის მოწყობა შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადებში (2026 წელი სექტემბერი)*
N 3.6.2.1.	**სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**	**რეკომენდაცია:** *სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესის შემუშავება და საქმისწარმოების მოწესრიგება. (2026 წელი სექტემბერი)*
N 3.6.3.5.	**ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის**	**რეკომენდაცია:** *უზრუნველყოს სკოლამ მითითებულ ვადებში ვებ გვერდზე სკოლის შესახებ ინფორმაციის განთავსება. (2026 წელი სექტემბერი)*

	პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია	
სტანდარტი N4	***მოსწავლეთა მხარდაჭერა***	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი *N 4.1.1.3.*	***მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება***	***რეკომენდაცია:*** *სკოლამ გააფორმოს ხელშეკრულება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, მშობლებთან/მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან (2026 წლის სექტემბერი)*
N 4.1.2.1.	***სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები***	***რეკომენდაცია:*** *სკოლას შეიმუშავოს და დაამტკიცოს მოსწავლის ჩარიცხვ საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალ და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები, მითითებულ ვადებში (202 წელი სექტემბერი)*
N4.1.2.2.	***სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს***	***რეკომენდაცია:*** *სკოლას შეიმუშავოს, დაამტკიცოს და დაიცვას მოსწავლ ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტ გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები, მითითებუ ვადებში (2026 წელი სექტემბერი)*

N4.2.3.1.	**სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**	***რეკომენდაცია:*** *სკოლამ შეიმუშაოს და დანერგოს სპეციალური საგანმანათლებლ საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს სსსმ მოსწავლეთა საჭიროებების გამოვლენის, მხარდაჭერის დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესს, პასუხისმგებელ პირებსა და თანამშრომლობის ფორმებს მოქმედი კანონმდებლობის და ინკლუზიური განათლების პრინციპების შესაბამისად, დადგენილ ვადებში. (2026 წელი სექტემბერი)*
N4.2.3.2.	**სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**	***რეკომენდაცია:*** *შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში კონკურსის წეს შერჩეულ იქნას კვალიფიციური სპეციალური პედაგოგი.* *(2026 წელი სექტემბერი)*
N 4.2.4.3.	**შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**	***რეკომენდაცია:*** *მოწესრიგდეს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში წრი ფუნქციონირება კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციების შესაბამისად .* *განხორციელდეს ფართის იჯარით გაცემა შესაბამისი იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე.* *გაფორმდეს პედაგოგთან მომსახურების ხელშეკრულება (2026 წლის სექტემბერი)*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(საბაზო, საშუალო საფეხურზე)*	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**

ინდიკატორი *2.2.2.3*	**კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**	***რეკომენდაცია:*** *სკოლამ გაითვალისწინოს შესაბამისობის გეგმაში მითითებული აქტივობის – საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების სტანდარტში მოყვანა–დათქმულ ვადაში შესრულება.* ***(2026 ივნისიდან -2027მაისამდე).***

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.1.1.	***სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს***	***რჩევა:*** *სასურველია სკოლის ხედვის ტექსტი იყოს მეტად სტრუქტურირებული, რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს ძირითადი გზავნილები, მოხდეს მომავალზე ორიენტირებული სასურველი მდგომარეობის უფრო ნათლად ფორმულირება და ძირითადი შედეგების გამოკვეთა.*
ინდიკატორი *N 1.2.1.2.*	***სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს***	***რჩევა:*** *უზრუნველყოფილი იქნას სამეურვეო საბჭოს სხდომის დოკუმენტაციის (დღის წესრიგი, ოქმი და დადგენილება) ტერმინოლოგიური და შინაარსობრივი თანხვედრა, რათა მომავალში თავიდან იქნას აცილებული ფორმულირებებს შორის შეუსაბამობა და მკაფიოდ აისახოს სამეურვეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, მათ შორის სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების საკითხი.*
სტანდარტი N3	*სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა*	
ინდიკატორი *N 3.1.2.2.*	***სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და***	***რჩევა:*** *სასურველია სკოლამ დოკუმენტურად აღწეროს პერსონალის მართვასთან დაკავშირებული შესაძლო რისკები და მათზე რეაგირების მექანიზმები (მაგალითად, თანამშრომლის ხანგრძლივი არყოფნის, ვაკანტური პოზიციის ან*

	ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა	*არადამაკმაყოფილებელი საქმიანობის შემთხვევაში), რათა უზრუნველყოფილი იყოს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის სისტემური დაგეგმვა.*
ინდიკატორი N 3.1.2.4.	***პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს***	***რჩევა:*** *სასურველია სკოლამ პერსონალის პირად საქმეებში წარმოდგენილი ოფიციალური ცნობები უზრუნველყოს სათანადო დამოწმებით და პერსონალის დატვირთვის განაწილებისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე კადრების დასაქმებას*
N 3.1.2.6.	***სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი***	***რჩევა :*** *სასურველია სკოლამ განსაზღვროს, ფორმალიზებული და სტრუქტურირებული მექანიზმი, რომლის საფუძველზეც განახორციელებს წარმატებული გამოცდილების იდენტიფიცირებას, აღიარებას და გაზიარებას, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.*
N 3.2.1.1.	***ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე***	***რჩევა:*** *სასურველია სკოლამ შეიმუშავოს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელება და უზრუნველყოს მასწავლებელთა შეფასების სისტემის სისტემურობა და ერთიანობა. კერძოდ, კათედრებზე მიმდინარე აქტივობები (ურთიერთ დაკვირვება, ერთობლივი დაგეგმვა, უკუკავშირი) ინტეგრირდეს ერთიან შეფასების ჩარჩოში, რომელიც უზრუნველყოფს შედეგების დოკუმენტირებას, ანალიზსა და შემდგომ პროფესიულ განვითარებაზე მიბმას. ასევე სასურველია შეფასების პროცესი არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ გაკვეთილზე დაკვირვებით და მოიცავდეს მრავალმხრივ ინდიკატორებს (სასწავლო შედეგები, პროფესიული განვითარება, მოსწავლეთა მიღწევები), რაც უზრუნველყოფს ობიექტურ და გამჭვირვალე შეფასებას.*
N3.4.1.1.	***სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა***	***რჩევა:*** *სასურველია, სკოლას ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა, აკრედიტებულ ორგანიზაციაში.*

	უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	
N 3.6.3.2.	**სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**	***რჩევა:*** *სასურველია სკოლას ბრძანებით ყავდეს განსაზღვრული, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხიმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს გავრცელებული ინფორმაციის სიზუსტეს.*
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი*	
N2.1.1.1.	**კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**	***რჩევა:*** *სასურველია, სკოლამ უფრო მკაფიოდ განსაზღვროს სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის (მოსწავლეები, მშობლები, თანამშრომლები) მონაწილეობის მექანიზმები, მათ შორის საჭიროებების კვლევის, უკუკავშირის მიღებისა და გადაწყვეტილებებში მათი ასახვის პროცედურები.*
N 2.1.1.3.	**კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**	***რჩევა:*** *სასურველია სკოლამ უფრო დეტალურად აღწეროს სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის ჩართულობის ფორმები და უზრუნველყოს მათი მონაწილეობის ამსახველი მტკიცებულებების სისტემური აღრიცხვა.*

N 2.1.1.4.	**კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**	**რჩევა:** *სასურველია სკოლამ დანერგოს კურიკულუმის შინაარსისა და ცვლილებების, მშობლებისა და მოსწავლეებისთვის გაზიარების უფრო მრავალფეროვანი და სისტემური მექანიზმები*
N2.1.2.1.	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას (დაწყებითი საფეხური) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები.**	**რჩევა:** *სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოს ფორმა შეიმუშაოთ კათედრაზე და გქონდეთ ყველა კლასში ერთნაირი თანმიმდევრობით გაწერილი სტრუქტურული ერთეულებით; ყველა თემის, ყველა ძირითად საკითხთა კლასტერში გქონდეთ დაგეგმილი შემოქმედებითი დავალებები და მითითებული შესაბამისი კონკრეტული რესურსები.*
	უცხო ენები	**რჩევა:** *კურიკულუმის შემდგომი დახვეწის მიზნით, უცხოური ენის კათედრამ სასურველია სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი ძირითადი ცნებების (ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები) უფრო დეტალურად დაკონკრეტება ქვეცნებების დონეზე, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო შინაარსის მეტად სტრუქტურირებულ და გამჭვირვალე ორგანიზებას.*
	მათემატიკა	**რჩევა:** · *მიზანშეწონილია ინფორმაცია საგნობივი კურიკულუმის შესახებ შეიცავდეს: კურიკულუმის სახელწოდებას, სასწავლო საგნის ხანგრძლივობა სემესტრის/ წლის განმავლობაში, ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსებს;* · *მიზანშეწონილია შემუშავებულ კურიკულუმში გაწერილ იყოს საგნობრივი სტანდარტით განსაზღრული ყველა თემა და კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტში თემების ფორმულირება წამოდგენილი იყოს მათემატიკის სტანდარტის შესაბამისად.* · *სასურველია, მიეთითოს კურიკულუმით განსაზღულ თემას წლის/სემესტრის განმავლობაში ჯამური საათობრივი დატვირთვა;*
	ტექნოლოგიები	**რჩევა:** *სასურველია მომდევნო სასწავლო წლისთვის კურიკულუმში გადაიხედოს ყველა სამიზნე ცნება, რომელიც შესაბამისობაში იქნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და ამოცანებს. ასევე, კარგი იქნება, თუ კურიკულუმში მოსწავლეებისთვის უფრო მკაფიოდ და ცხადად იქნება გაწერილი*

		ცნებები, საკითხები/საკითხთა კლასტერი, ყველა კონტექსტ-მაგალითი, შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობა შუალედური მიზანი, გამოკვეთილი იქნება მათი განხორციელებისთვის საჭირო ყველა აუცილებელი დანართი, ვიდეო, აუდიო, ციფრული თუ ელექტრული მასალა, სიმულაციები, განმსაზღვრელი ან/და განმავითარებელი შეფასებები და სხვ.
N 2.1.2.2.	***კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*** ***საზოგადოებრივი მეცნიერებები***	***რჩევა:*** *სასურველია საბაზო და საშუალო საფეხურზე, ყველა კლასისა თუ საგნის კურიკულუმი გაწერილი იყოს ერთნაირ ჩარჩო დოკუმენტში; ასევე, მნიშვნელოვანია კურიკულუმის ჩარჩოებში ჩანდეს სავალდებულო თემების სახელწოდება საგნობრივი სტანდარტების შესაბამისად; სასურველია თითოეული თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები ერთმანეთისგან გამიჯნულად იყოს ჩამოშლილი; მნიშვნელოვანია თითოეულ საკითხთან მიმართებით მიუთითოთ ის სამიზნე ცნებები და ქვეცნებები - რომელიც დამუშავდება კონკრეტული საკითხის ჭრილში, ასევე, სასურველია თითოეულ თემაში მუშავდებოდეს საგნის ფარგლებში არსებული ყველა სამიზნე ცნება; კონტექსტ-მაგალითის ველში შეგიძლიათ მიუთითოთ კონკრეტული ქეისი, რომლითაც ფიქრობთ ვრცელი საკითხის განხილვა-დამუშავებას და მასზე შემოქმედებითი ხასიათის დავალების დანერგვას; კომპლექსური დავალების იდეაში - საკმარისი იქნება ჩანდეს თუ რა საკითხთან მიმართებით რა სახის პროდუქტი უნდა შეიქმნას; „შედარების მაგალითში" შესაძლებელია მიუთითოთ მოსწავლეებისთვის უკვე კარგად ნაცნობი - ნასწავლი/თანამედროვე ცხოვრებისეული მაგალითები; ასევე, გამოყენებულ რესურსებში სახელმძღვანელოს ავტორთან ერთად სასურველია თუკი მიუთითებთ: გამომცემლობას, პარაგრაფის ნომერსა და გვერდს, ამასთანავე შესაძლებელია დამატებითი ინტერნეტ-რესურსების მითითებაც. მასწავლებლებს ვიზიტის პირველივე დღეს მივეცი უკუკავშირი გამოსასწორებელი საკითხების შესახებ, ჩანს, რომ მათ აქვთ მზაობა გაითვალისწინონ რჩევები და ახალი სასწავლო წლისთვის მეტად დახვეწონ კურიკულუმების ჩარჩოები.*
2.1.2.2.	***მათემატიკა***	***რჩევა:*** *სასურველია, მოკლედ ჩაშალოთ სამიზნე ცნებები, რომელიც მოსწავლემ კონკრეტული თემის/საფეხურის ფარგლებში უნდა გაიაზროს და შეისწავლოს;*

2.1.2.2.	**სპორტი**	***რჩევა – დაწყებითი საფეხური:*** *I და III კლასის კურიკულუმებში თემებთან – „ტანვარჯიშის ელემენტები“, „ძალისმიერი ვარჯიშები“, „გასართობი თამაშები კალათბურთის ელემენტებით“ – მითითებულია სამიზნე ცნებად – „მოძრაობითი უნარები“, რომელიც სამიზნე ცნება – „ჯანსაღი ცხოვრების წესის“ ქვეცნებაა (მოძრაობითი ფიზიკური აქტივობა), სასურველია მასწავლებლებმა გაასწორონ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სტანდარტის შესაბამისად.* ***რჩევა – საბაზო საფეხური:*** *კურიკულუმებში თემასთან „ფეხბურთი“ სამიზნე ცნება „ორგანიზებულობა და თვითკონტროლის“ ნაცვლად წერია „ორგანიზებულობა და თამაშის მიმდინარეობისას სხეულის მოძრაობის კონტროლი“, სასურველია გაასწორონ. თემებთან „ფეხბურთი“, „მაგიდის ჩოგბურთი“, „მკლავჭიდი“ – მითითებულია სამიზნე ცნებად – „მოძრაობითი უნარები“, რომელიც სამიზნე ცნება – „ჯანსაღი ცხოვრების წესის“ ქვეცნებაა (მოძრაობითი ფიზიკური აქტივობა), სასურველია მასწავლებლებმა გაასწორონ. თემასთან „მაგიდის ჩოგბურთი“ მითითებულია სამიზნე ცნებად „თამაშის ტაქტიკა და წესები“, რომელიც ისედაც ინტეგრირებულია „ორგანიზებულობა და თვითკონტროლში“ ქვეცნებად, სასურველია მასწავლებლებმა სამიზნე ცნებები დააკორექტირონ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სტანდარტის შესაბამისად.* ***რჩევა – საშუალო საფეხური:*** *თემებთან „ფეხბურთი“, „მაგიდის ჩოგბურთი“, „მკლავჭიდი“ – მითითებულია სამიზნე ცნებად – „მოძრაობითი უნარები“, რომელიც სამიზნე ცნება„ჯანსაღი ცხოვრების წესის“ ქვეცნებაა (მოძრაობითი ფიზიკური აქტივობა), სასურველია* *მასწავლებლებმა გაასწორონ. სხვადასხვა თემასთან სამიზნე ცნებად მითითებულია – „ტაქტიკა და გუნდური თამაში“, „თამაშის ტაქტიკა და წესები“ და „თამაშის წესები და უსაფრთხოება“, რომელიც სამიზნე ცნება – „ორგანიზებულობა და თვითკონტროლის“ ქვეცნებაა (უსაფრთხოების დაცვა, ძირითადი წესები), სასურველია მასწავლებლებმა გაასწორონ. თემასთან „ფრენბურთი“ სამიზნე ცნებად „ფრენბურთის ტექნიკა“ არის მითითებული, „ფიზიკური თვისებები“ არა, სასურველია გაასწორონ. თემასთან „ფრენბურთი“ სამიზნე ცნება „ორგანიზებულობა და თვითკონტროლის“ ნაცვლად წერია „ორგანიზებულობა და თამაშის მიმდინარეობისას სხეულის მოძრაობის კონტროლი“, სასურველია*

		მასწავლებლებმა სამიზნე ცნებები დააკორექტირონ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სტანდარტის შესაბამისად.
2.1.2.3.	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**	***რჩევა:*** *სასურველია სკოლამ იზრუნოს სკოლის რესურსებით უზრუნველყოფაზე.*
2.1.2.3.	**უცხო ენები**	***რჩევა:*** *სასურველია უცხოური ენის კათედრამ მეტად გააძლიეროს საკუთარი, კონტექსტზე მორგებული ციფრული საგანმანათლებლო რესურსების შექმნა. მოსწავლის საჭიროებებზე დაფუძნებული მასალების განვითარება ხელს შეუწყობს როგორც კურიკულუმის კიდევ უფრო ეფექტიან იმპლემენტაციას, ისე სწავლების პროცესის ინდივიდუალიზაციას და ინოვაციური მიდგომების დანერგვას.*
2.1.2.3.	**მათემატიკა**	*რჩევა: სასურველია სასწავლო რესურსი იყო მრავალფეროვანი სასურველია, ელექტრონულ რესურსები წარმოადგინეთ ბმულების სახით, შესაბამისი სახელწოდების მითითებით;*
2.1.2.4.	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს** **სპორტი**	***რჩევა – დაწყებითი საფეხური:*** *სასურველია მე-3 კლასის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში მასწავლებელმა ყველა სამიზნე ცნების მიმართ აღწეროს მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონე, გრძელვადიანი მიზნები, მოკლევადიანი/შუალედური მიზნები და შესაბამისად ყველა სამიზნე ცნების მიმართ აღწეროს პროგრესის შეფასება. ასევე სასურველია მიუთითოს რა საგანმანათლებლო რესურსებს იყენებს შუალედური მიზნების განსახორციელებლად.*
2.1.2.5.	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს .** **საზოგადოებრივი მეცნიერებები**	***რჩევა:*** *თითოეული შემოქმედებითი დავალება საჭიროებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკის შემუშავებას, რუბრიკების შემუშავებისას საკითხის შინაარსთან ერთად – მნიშვნელოვანია გაითვალისწინოთ შემოქმედებითი სასიათის დავალების კრიტერიუმები (თუ რა უნდა წარმოადგინოს მოსწავლემ შემოქმედებით დავალებაში). ასევე, გასათვალისწინებელია საგნობრივ სტანდარტებში განსაზღვრული „თითოეული თემის ფარგლებში შედეგების მიღწევების ინდიკატორები“ და ის სამიზნე ცნებები – რომლებსაც მიემართება ესა თუ ის შემოქმედებითი დავალება*

2.1.2.5.	**მათემატიკა**	***რჩევა:*** *მიზანშეწონილია, შეფასების რუბრიკები შემუშავდეს მათემატიკის სტანდარტის შესაბამისად, თემების ფარგლებში მიღწევის ინდიკატორებისა და გრძელვადიან მიზნებზე დაყრდნობით*
2.1.2.5.	**სპორტი**	***რჩევა – დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური:*** *სასურველია, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებმა შეიმუშაონ შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებზე დაფუძნებით კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა თემისთვის სამივე საფეხურზე, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემატურობასა და თანმიმდევრულობას.*
2.1.2.5.	**ტექნოლოგიები**	***რჩევა:*** *სასურველია მომდევნო სასწავლო წლისთვის მასწავლებლებმა კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა დავალებისთვის შეიმუშაონ ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებთან, ასევე ზრდის შეფასების ვალიდურობას, სანდოობასა და სამართლიანობას.*
ინდიკატორი *N 2.2.1.5.*	***სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით***	***რჩევა:*** *2026/2027 სასწავლო წლისთვის, „სასკოლო სასწავლო გეგმა“ შემუშავდეს და დამტკიცდეს კანონმდებლობის შესაბამისად და აღმოიფხვრას ავთენტურობის ხარვეზი.*
N 2.2.2.1.	***კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*** ***უცხოენები***	***რჩევა:*** *სამივე საფეხურზე, კურიკულუმის სრულყოფის მიზნით, სასურველია უცხოური ენის კათედრამ უფრო დეტალურად და სისტემურად ასახოს ის დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები, რომელთა გამოყენებაზეც მასწავლებლებმა გასაუბრებისას ისაუბრეს. აღნიშნული რესურსების კურიკულუმში ასახვა ხელს შეუწყობს მათი მიზნობრივად და თანმიმდევრულად გამოყენებას, გააძლიერებს სასწავლო პროცესის დაგეგმვის ხარისხს და უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პრაქტიკის მეტ გამჭვირვალობასა და ერთიანობას. ასევე, ეს პრაქტიკა დაეხმარება სხვა პედაგოგებს მოახდინონ აღნიშნული რესურსების ეფექტიანად ინტეგრირება თავიანთ სწავლა-სწავლების პროცესში.*

N 2.3.1.1.	მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს	**რჩევა:** სასურველია სკოლამ უფრო მკაფიოდ ჩამოაყალიბოს მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტები, განსაზღვროს მონაცემთა შეფასების, ანალიზისა და გადაწყვეტილებების მიღების ერთიანი პროცედურა.
N 2.3.1.3.	მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას	**რჩევა:** სასურველია სკოლამ შეიმუშაოს მხარდაჭერის მექანიზმების უფრო მკაფიო სისტემა როგორც მოსწავლეების, ისე მასწავლებლებისთვის.
N2.3.2.1.	შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს	**რჩევა:** სასურველია სკოლამ შეიმუშაოს შეფასების მრავალფეროვანი წყაროების გამოყენებისა და ანალიზის ერთიანი მიდგომა.
N2.3.2.3.	შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები	**რჩევა:** სასურველია სკოლამ შეიმუშაოს მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის ერთიანი ინსტრუმენტები, რაც ხელს შეუწყობს შეფასების პროცესის უფრო ეფექტიან დაგეგმვას.
N 2.4.1.1.	იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი	**რჩევა:** სასურველია სკოლამ რეკომენდაციების შემუშავებისა და შესრულების პროცესს მისცეს უფრო სისტემური ხასიათი.
N2.4.1.2.	კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს	**რჩევა:** სასურველია სკოლამ უფრო მკაფიოდ აღწეროს, როგორ აისახება მონიტორინგისა და შეფასების შედეგები კურიკულუმის განახლებულ ვერსიაში.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დასკვნის პროექტში ასახულ ექსპერტთა მიგნებებთან დაკავშირებით სსიპ მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარ-სგურიშის საჯარო სკოლამ 29/06/2026 წლის MES 3260000812289 წერილით, კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, წარმოადგინა არგუმენტირებული წერილობითი პოზიცია რომელიც სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 01/07/2026 წლის MES 2 26 0000829767 წერილით ექსპერტთა ჯგუფს გადაეცა

განსახილველად. სკოლამ გაიზიარა და გაითვალისწინა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული პოზიცია, წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებზე, მითითებულ ხარვეზებზე.

კერძოდ: 1 სტანდარტის 1.1.1.3; 1.1.1.4; 1.1.1.5; 1.2.1.2; 1.2.1.3; 1.2.2.1;

მე-3 სტანდარტის 3.1.2.4; 3.2.1.1; 3.4.1.1; 3.4.1.2; 3.5.1.1; 3.5.1.3; 3.6.2.1; 3.6.3.5;

მე-4 სტანდარტი 4.1.1.3; 4.1.2.1; 4.1.2.2; 4.2.3.1; 4.2.3.2; 4.2.4.3;

მე-2 სტანდარტი 2.2.2.4 (დაწყებითი საფეხური) 2.2.2.3 (საბაზო-საშუალო საფეხური). სკოლას მის მიერ წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, შესრულების ვადები, პასუხისმგებელი პირები, საჭირო ადამიანური რესურსი და ასევე პროცესების შეფერხების რისკები. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია და მივიდა დასკვნამდე, რომ სკოლა განვითარებაზეა ორიენტირებული.

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით კონკრეტული ინდიკატორების ***(პირველ სტანდარტთან მიმართებით - 1.1.1.3; 1.1.1.4; 1.1.1.5; 1.2.1.2; 1.2.1.3; 1.2.2.1; მესამე სტანდარტის 3.1.2.4; 3.2.1.1; 3.4.1.1; 3.4.1.2; 3.5.1.1; 3.5.1.3; 3.6.2.1; 3.6.3.5; მე-4 სტანდარტი 4.1.1.3; 4.1.2.1; 4.1.2.2; 4.2.3.1; 4.2.3.2; 4.2.4.3;),*** *ხარვეზის აღმოფხვრის ვადად სკოლამ განსაზღვრა ვადა 2026 წლის სექტემბერი.*

ინდიკატორები 3.4.1.1. *კერძოდ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება განსაზღვრა 2027 წლის ივნისამდე. შესაბამისად ყველა ინდიკატორი რომლებიც დასკვნის პროექტში შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება", ვინაიდან სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით, აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით, სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა ვადა - არაუმეტეს 12 თვისა.*

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტის შესწავლით დგინდება, რომ სკოლის მისიაა ურთიერთზრუნვითა და თანამშრომლობით შექმნას უსაფრთხო, მამოტივირებელი, ინოვაციური და ინკლუზიური სასწავლო გარემო, რომელიც ემსახურება გლობალურად მოაზროვნე, განვითარებული, შემოქმედი, ინოვატორი მოქალაქეების ჩამოყალიბებას, რომელთაც გაცნობიერებული ექნებათ ადამიანის ძირითადი უფლებების პატივისცემა, ვალდებულებები და მუდმივად ცვალებად გარემოში საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადეკვატური ჩართულობის მნიშვნელობა. მისია ხაზს უსვამს გუნდური მუშაობისა და ღიაობის პრინციპებზე დაყრდნობით, აღზარდოს განსხვავებული აზრისა და კულტურის აღიარებისა და პატივისცემის დანერგვით, პასუხისმგებლიანი და განვითარებაზე ორიენტირებული პიროვნება. სკოლის მიერ წარმოდგენილი მისიისა და ხედვის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ იგი შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან.

რჩევა: სასურველია სკოლის ხედვის ტექსტი იყოს მეტად სტრუქტურირებული, რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს ძირითადი გზავნილები, მოხდეს მომავალზე ორიენტირებული სასურველი მდგომარეობის უფრო ნათლად ფორმულირება და ძირითადი შედეგების გამოკვეთა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მისიისა და ხედვის ანალიზი ცხადყოფს, რომ დაწესებულება განსაზღვრავს საკუთარ სოციოკულტურულ როლს. კერძოდ, მისია ორიენტირებულია არა მხოლოდ აკადემიური ცოდნის გადაცემაზე, არამედ ისეთი ღირებულებებისა და უნარების განვითარებაზე, რომლებიც აუცილებელია საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებისთვის. დაწესებულება თავის თავს ხედავს როგორც უსაფრთხო და მხარდამჭერ გარემოს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ინდივიდუალურ და საზოგადოებრივი განვითარების პროცესს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლამ ვიზიტის პერიოდში ვერ წარმოადგინა მტკიცებულება, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობასთან დაკავშირებით. არ არსებობს მტკიცებულება, რომ მისიის საბოლოო ვერსია შემუშავებულია, სასკოლო საზოგადოების გამოკითხვით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე. მისიის შექმნის პროცესის დადასტურების მიზნით სკოლამ ვერ წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება, პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი, გამოკითხვის კითხვარის ნიმუში და ვერც მტკიცებულება სკოლის სოციალური ქსელიდან. ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ სკოლის ფილოსოფიის შექმნის პროცესში არ იყო სასკოლო

საზოგადოება ჩართული, მათ შორის მოსწავლეები, მშობლები და სხვა დაინტერესებული პირები. სასკოლო საზოგადოებასთან შეხვედრების, გამოკითხვების, სამუშაო ჯგუფების, ფორმატში თანამშრომლობა, რაც უზრუნველყოფს განსხვავებული მოსაზრებების დაფიქსირებასა და გათვალისწინებას. ასევე მნიშვნელოვანია პროცესის თითოეული ეტაპის სათანადო დოკუმენტირება, რათა ნათლად დასტურდებოდეს, რომ სკოლის ფილოსოფია არა მხოლოდ შეთანხმებულია, არამედ რეალურად გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით მკაფიო, თანმიმდევრული და მომავალზე ორიენტირებული ხედვის ჩამოყალიბებას, რომელიც ასახავს სკოლის გრძელვადიან მისწრაფებებსა და სასურველ მდგომარეობას განსაზღვრული დროის შემდეგ. (2026 წლის სექტემბერი)

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის მისია, ხედვის და ღირებულებები გაზიარებასთან დაკავშირებით, სკოლამ ვერ წარმოადგინა დამადასტურებელი მტკიცებულებები. შესაბამისად, ექსპერტებმა ვერ დაადგინეს რამდენად იყო გათვალისწინებული სასკოლო საზოგადოების უკუკავშირი სკოლის ფილოსოფიის შედგენისას.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც სკოლა უზრუნველყოფს მისიის, ხედვისა და ღირებულების სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარებას შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2026 წლის სექტემბერი)

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მისია და ხედვა არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი. ის არ არის განთავსებულია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე https://skolebi.emis.ge/schools/1665

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა,რომლის მიხედვითაც სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ იქნება ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის, განთავსებული იქნება სკოლის საჯარო სივრცესა და სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2026 წლის სექტემბერი)

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სსიპ – მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარ-სგურიშის საჯარო სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული, სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

- სკოლის ვებ გვერდი: https://skolebi.emis.ge/schools/1665

შეფასება:

0 გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

0 შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია (ბრძანება N36-4, 11.09.2025), რომელიც ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებას. მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია: სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპი, რომელიც უზრუნველყოფს თემისა და სასკოლო საზოგადოების საჭიროებების ინტეგრირებას სტრატეგიულ დაგეგმვაში, გუნდური მუშაობის პრინციპები, რაც იძლევა დაინტერესებული მხარეების უფლებებისა და ინტერესების გათვალისწინების შესაძლებლობას და უზრუნველყოფს მათ აქტიურ მონაწილეობას სკოლის განვითარების ხედვის ფორმირებაში, სასკოლო საზოგადოების მოსაზრებების ინტეგრირება, რაც ხელს უწყობს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გამჭვირვალობას და ჩართულობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმა (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ 2025 წლის 08 სექტემბრის N3 სხდომაზე) არის შვიდწლიანი. სკოლის 7-წლიანი სტრატეგიული გეგმაში გაწერილია SWOT ანალიზის შედეგად გამოვლენილი სუსტი და ძლიერი მხარეები. გაწერილია სკოლის განვითარების პრიორიტეტები, თითოეულ პრიორიტეტზე მორგებული მიზნები და ამოცანები, მოიცავს გრძელვადიან ხედვებს და გათვლილია 6 წელზე, 7 წლის ნაცვლად. სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს და შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებსა და შესაბამის ამოცანებს. სტრატეგიული გეგმის მოქმედების ბოლო წელს სკოლა ახორციელებს სამიზნე ნიშნულების შესრულების დეტალურ ანალიზს, რაც განსაზღვრულია სტრატეგიული განვითარების გეგმით. აღნიშნული ანალიზი წარმოადგენს

საფუძველს ახალი სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებისთვის და პრაქტიკულად ადასტურებს, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმა ფუნქციონირებს ციკლურად, უზრუნველყოფილია მისი უწყვეტი შეფასება, კორექტირება და განვითარება.

რჩევა: უზრუნველყოფილი იქნას სამეურვეო საბჭოს სხდომის დოკუმენტაციის (დღის წესრიგი, ოქმი და დადგენილება) ტერმინოლოგიური და შინაარსობრივი თანხვედრა, რათა მომავალში თავიდან იქნას აცილებული ფორმულირებებს შორის შეუსაბამობა და მკაფიოდ აისახოს სამეურვეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, მათ შორის სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების საკითხი.

სკოლის შვიდწლიან სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების ვადა არ შეესაბამება მოთხოვნილ ვადებს, გაწერილია ექვს წელზე.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. რომლის თანახმად, სკოლა შეიმუშავებს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში ,შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმას, რომელიც დაეფუძნება სკოლის საჭიროებების ანალიზს, განსაზღვრავს სკოლის განვითარების ხედვას, სტრატეგიულ მიზნებს, ამოცანებს, შესრულების ინდიკატორებს, პასუხისმგებელ პირებს, ვადებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. სტრატეგიული გეგმას დაამტკიცებს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით და იქნება სკოლის წლიური სამოქმედო გეგმების საფუძველი. (2026 წლის სექტემბერი)

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა განხილულია პედაგოგიური საბჭოს მიერ (03.09.2025)და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ (08.09.2025 ოქმი N3)აღნიშნული დოკუმენტაცია დამტკიცებულია ასევე დირექტორის 2025 წლის 04.09-ის ბრძანება N36-3-ით. ანალიზით დადგინდა, რომ სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი, ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და ემსახურება სტრატეგიული მიზნების განხორციელებას.

სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს N785 - ე ბრძანებასთან „საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების დამტკიცების შესახებ.

- ***დოკუმენტში აღინიშნება ავთენტურობის ხარვეზი.(დირექტორის 2025 წლის 04.09. ბრძანება N36-3)***

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. სკოლა უზრუნველყოს 2026-2027 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებას და დამტკიცებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №448 ბრძანებით დამტკიცებულ საჯარო სკოლის წესდების შესაბამისად ,შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში. (2026 წლის სექტემბერი)

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის მიერ შემუშავებულ სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნები, ამოცანები, აქტივობები (რომლებიც უზრუნველყოფს დასახული ამოცანების შესრულებას), აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობის განხორციელების პერიოდი, შესრულების ინდიკატორები და რესურსები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია (ბრძანება N36-4, 11.09.2025);
- სტრატეგიული განვითარების გეგმა (სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 08 სექტემბრის N 3 სხდომის ოქმი);
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა .

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს, რომელიც განსაზღვრულია მუხლი 6-ით. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში მკაფიოდ არ არის გამიჯნული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, მათი მონიტორინგის ფორმა, შინაარსი და პერიოდულობა. არსებული დოკუმენტი ზოგადია, მონიტორინგის ერთიანად წარმოდგენა ამცირებს როგორც სტრატეგიული გეგმის პროგრესის რეალურ შეფასებას, ისე სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შესაძლებლობას და ფორმალურ ხასიათს ანიჭებს მთელ დაგეგმვის ციკლს. ყოველივე კი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ სკოლას სათანადოდ არ აქვს გააზრებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ურთიერთკავშირი და სპეციფიკა.

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში მკაფიოდ არ არის გამიჯნული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, მათი მონიტორინგის ფორმა, შინაარსი და პერიოდულობა.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა რომლის მიხედვითაც, სკოლა უზრუნველყოფს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში უფლებამოსილი პირის მიერ ცვლილების განხორციელებას კერძოდ, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის ფორმის, შინაარსის და პერიოდულობის განსაზღვრას შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადებში. (2026 წლის სექტემბერი)

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ქონდა ჩატარებული აღნიშნული დოკუმენტის მონიტორინგი. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აქვთ მზაობა, თითოეული სტრატეგიული მიმართულების/ამოცანის/აქტივობის შესრულებაზე. სამეურვეო საბჭოს სხდომაზე შესაბამისი პირების ჩართულობით თითოეულ აქტივობას მიენიჭება სტატუსი: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“ და საბოლოოდ, გაკეთდება განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლა იყენებს საინფორმაციო დაფებს სამოქმედო გეგმით გაწერილი შესრულებული აქტივობების შედეგების გამოსაქვეყნებლად. ასევე სკოლის სოციალური ქსელით ხდება აქტივობების გამოქვეყნება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლა იყენებს განვლილი წლების შედეგებს, შემდგომი განვითარების პროცესში. ამ პრაქტიკის დამადასტურებელი მაგალითია სკოლის მიერ წარმოდგენილი 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა. სტრატეგიული განვითარების გეგმით აქცენტი კეთდება ოთხ ძირითად მიზანზე:

- განათლების ხარისხის ამაღლება
- უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფა
- მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება
- სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

თითოეული მიზანი იყოფა ამოცანებად. აღნიშნული დაადასტურეს მასწავლებლებმაც გასაუბრების დროს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანალიზი;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;

შეფასება:

0 გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

0 შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლას არ აქვს შემუშავებული სტრუქტურის სქემატური გამოსახულება. საშტატო განრიგი აზუსტებს თითოეულ პოზიციაზე დასაქმებულთა რაოდენობას. კერძოდ, საშტატო განრიგით გათვალისწინებულია შემდეგი თანამდებობრივი პოზიციები: დირექტორი, საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი, ბიბლიოთეკარი, მასწავლებელი 18, დარაჯი 1, დამლაგებელი 2. საშტატო განრიგით განსაზღვრული პოზიციების ფუნქციები გაწერილია სკოლის დირექტორის 2025 წლის 18.09 ბრძანება N36-7 დამტკიცებულ სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერ დოკუმენტში, ასევე ინდივიდუალურად გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. მრჩეველთა საბჭო საქმიანობას ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისად. მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობა რეგულირდება მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულებით. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და თანამდებობრივი პირების ფუნქციები სამართლებრივად სწორად არის განსაზღვრული. ფუნქციების გაწერა უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების სწორ გადანაწილებას და ორგანიზაციული მართვის გამჭვირვალობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი საშტატო განრიგით, სკოლის სტრუქტურის სქემატური გამოსახულებით, სკოლაში დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობებით და სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული, სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქცია მოვალეობების ანალიზით დგინდება, რომ სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება სრულად მოიცავს იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლის ძირითად საქმიანობის შესრულებასა და მიზნებს უკავშირდება, ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას, უზრუნველყოფს ორგანიზაციული მართვის ეფექტიანობას და პასუხისმგებლობების გამიჯვნას დასაქმებულთა შორის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2025 წლის 16.09 ბრძანება N 36-6 მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ;

- საშტატო განრიგი;
- დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლას ერთ – ერთ ამოცანად განსაზღვრული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების მექანიზმების შემუშავება და სრულყოფა. ასევე, სკოლას შემუშავებული აქვს „ძირითადი და დამხმარე მმართველობითი ერთეულების, პროცესების და მათი აღმწერი დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია სკოლაში დასაქმებულების ფუნქციები, აღნიშნული ფუნქციების თანახმად, თითოეული თანამდებობის პირი/სტრუქტურული ერთეული ჩართულია სასკოლო საქმიანობაში, რაც ხელს შეუწყობს სკოლის აქტივობების ეფექტიან და დროულ შესრულებას. სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს თანამშრომლის უფლება – მოვალეობებს, სკოლაში დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შეტყობინების წესს, დასაქმებულის მიმართ დისციპლინური წარმოების წესს. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს სკოლაში ახლად მიღებული პირის ადაპტაციის ეტაპებს და გასატარებელ ღონისძიებებს. სკოლის დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლას აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლითაც გათვალისწინებულია პრევენციული ღონისძიებები ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ საჭიროების შემთხვევაში ხდება პედაგოგიური, ადმინისტრაციული თუ ტექნიკური პერსონალის დროებით ჩანაცვლება სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის. სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, პრაქტიკაში ასევე განიხილება ვაკანტური პოზიციის შემთხვევაში კონკურსის გამოცხადების შესაძლებლობა. თუმცა ვიზიტის პერიოდში დადგინდა, რომ სკოლას არ აქვს ჩამოყალიბებული და დოკუმენტურად აღწერილი პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელშიც წინასწარ იქნებოდა განსაზღვრული შესაძლო რისკები და მათზე რეაგირების მექანიზმები.

რჩევა: სასურველია სკოლამ დოკუმენტურად აღწეროს პერსონალის მართვასთან დაკავშირებული შესაძლო რისკები და მათზე რეაგირების მექანიზმები (მაგალითად, თანამშრომლის ხანგრძლივი არყოფნის, ვაკანტური პოზიციის ან არადამაკმაყოფილებელი საქმიანობის შემთხვევაში), რათა უზრუნველყოფილი იყოს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის სისტემური დაგეგმვა.

.ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ შესაბამისად განსაზღვრულია წინა სახელშეკრულებო ურთიერთობათა საკითხები, სკოლაში თანამშრომლის/პედაგოგის შერჩევის და მიღების პროცედურა, მიღების საკითხებში აღწერილია განცხადების გავრცელება ვაკანტური ადგილების შესახებ, მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით, მოქალაქის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვისა და მასთან გასაუბრების პროცედურა, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შრომითი ხელშეკრულების გაფორმების საკითხები. ამავე, დოკუმენტით გათვალისწინებულია პერსონალის სამსახურში მიღებისას ადმინისტრაციის მიერ შესასრულებელი ვალდებულებები. განსაზღვრულია მასწავლებლის მიღებისას გასათვალისწინებელი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, კადრის შერჩევის პროცედურები, კონკურსის გამოცხადება, საკონკურსო კომისიის შექმნა/ფორმირება, საინფორმაციო საშუალებებით საჯაროდ გამოქვეყნება, კონკურსის ეტაპები, პერსონალის მიერ საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების პროცედურა, გადაწყვეტილების მიღება, ოქმი/შერჩევის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის წარმოება, გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმები და ა.შ. სკოლას გამოცხადებული აქვს კონკურსები საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

პერსონალის დოკუმენტაციისა და EMIS-ის მონაცემების გადამოწმების შედეგად ირკვევა, რომ სსიპ მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარ-სგურიშის საჯარო სკოლაში მომუშავე პედაგოგთა კვალიფიკაცია ნაწილობრივ შესაბამისობაშია როგორც სკოლის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებთან, ისე მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებთან. სკოლაში დასაქმებულია 18 მასწავლებელი, 15 უფროსი მასწავლებელი და 3 უსტატუსო მასწავლებელი. დოკუმენტაციის შესწავლის დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა დაწყებით საფეხურზე არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. აღნიშნულ პრობლემას სკოლა ხსნის შემდეგი გარემოებით: სკოლა მიეკუთვნება მაღალთიან რეგიონს და აღინიშნება კადრის დეფიციტი. სკოლას შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქვს 2026 წლის სექტემბრამდე გამოაცხადოს ვაკანსია, არსებულ ვაკანტურ პოზიციაზე. სკოლის დირექტორს, კანონმდებლობის შესაბამისად, სამეურვეო საბჭოსგან, მოპოვებული აქვს „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად თანხმობა 2025-2026 სასწავლო წელს განახორციელოს პედაგოგიური საქმიანობა იმ სკოლაში, სადაც არის დირექტორი (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 3), ასევე მისი საათობრივი დატვირთვა შეთანხმებულია საგანმანათლებლო რესურსცენტრთან. პედაგოგთა პირადი საქმეები მოწესრიგებულია, წარმოდგენილია კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო საბუთი. დასაქმებულთა პირად საქმეში წარმოდგენილია მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი დოკუმენტაცია.

სკოლის ფინანსური მენეჯერის, რომელიც ახორციელებს პედაგოგიურ საქმიანობას, კვალიფიკაცია არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. რომლის თანახმად, სკოლა კვალიფიციური მასწავლებლის დასაქმების მიზნით გამოცხადებს კონკურს, კანონმდებლობის შესაბამისად შექმნის საკონკურსო და საპრეტენზიო კომისიას და შერჩეულ კანდიდატთან გააფორმებს შრომით ხელშეკრულებას. (2026 წლის სექტემბრი)

რჩევა: სასურველია სკოლამ პერსონალის პირად საქმეებში წარმოდგენილი ოფიციალური ცნობები უზრუნველყოს სათანადო დამოწმებით და პერსონალის დატვირთვის განაწილებისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე კადრების დასაქმებას

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის მართვის სტრუქტურა მოიცავს სამეურვეო საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობას, მრჩეველთა საბჭოს, კათედრებს, პედსაბჭოს, დისციპლინურ კომიტეტს და სხვა დროებით კომისიებს, რომლებიც სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე იქმნება გარკვეული საქმიანობის შესასრულებლად. სამეურვეო საბჭო განიხილავს და ადგენს მის უფლებამოსილებაში შემავალ საკითხებს, პედაგოგიური საბჭო, კათედრები, საკონკურსო კომისიები, თანამშრომელთა ჩართულობას კიდევ უფრო აძლიერებს და ქმნის თანამშრომლობით გარემოს. როგორც ვიზიტის პერიოდში გამოვლინდა სკოლის ორგანიზაციული კულტურა გამოირჩევა თანამშრომლობის და გაზიარებული პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხით. ეს კი თავის მხრივ ხელს უწყობს არა მხოლოდ ეფექტიან მართვას, არამედ განათლების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებასა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების რეალიზებას. დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ფარგლებში განხორციელებულია სასკოლო პროექტები : „ჯანსაღი ცხოვრების წესი,, და ,,სამოქალაქო უსაფრთხოება". სკოლაში მოქმედებს „კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი" კათედრებს შორის თანამშრომლობა, ერთობლივად დაგეგმილი გაკვეთილები, მრავალპროფილური რესურსების შექმნა/გამოყენება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში ცალკეულ შემთხვევებში ხორციელდება წარმატებული გამოცდილების აღიარება. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია დასაქმებულთა წახალისების მექანიზმები, ხოლო პრაქტიკაში გამოიყენება მასწავლებელთა და სხვა თანამშრომელთა მაღლობის გამოცხადება, როგორც მოტივაციისა და პოზიტიური პრაქტიკის აღიარების ფორმა. თუმცა, სკოლას არ გააჩნია ფორმალიზებული და სტრუქტურირებული მექანიზმი, რომლის საფუძველზეც წარმატებული გამოცდილების იდენტიფიცირება, აღიარება და გაზიარება განხორციელდება სისტემურად, გეგმაზომიერად და წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.

რჩევა: სასურველია სკოლამ განსაზღვროს, ფორმალიზებული და სტრუქტურირებული მექანიზმი, რომლის საფუძველზეც განახორციელებს წარმატებული გამოცდილების იდენტიფიცირებას, აღიარებას და გაზიარებას, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N3;
- შინაგანაწესი;
- პერსონალის პირადი საქმეები (დიპლომები, სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტები, ნასამართლეობისა და სხვა შესაბამისი ცნობები);
- საშტატო განრიგი;

- დასაქმებულთა პირადი საქმეები;
- ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

0 გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

0 შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია სკოლაში მომუშავე პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების მექანიზმები. მასწავლებლები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და იღებენ უკუკავშირს. სკოლაში ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე, რაც დასტურდება „ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექანიზმების დამტკიცების შესახებ“ დოკუმენტით, სადაც აღნიშნულია, რომ სასკოლო საზოგადოების პროფესიული ზრდა მუდმივი და უმნიშვნელოვანესი პროცესია. დოკუმენტი არეგულირებს დასაქმებულთა კვალიფიციურობის ანალიზს სამუშაოს ძირითად მოთხოვნებთან, დასახულ მიზნებთან და ამოცანებთან მიმართებაში. სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ იყენებენ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების მექანიზმს , რომლის საფუძველზე იკვეთება პედაგოგთა საჭიროებანი და იგეგმება ჩასატარებელი აქტივობები.

სკოლას არ ყავს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. რომლის თანახმად, სკოლა შექმნის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფს, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2026 წლის სექტემბერი) რომელიც პასუხისმგებელი იქნება ხარისხი უზრუნველყოფის პროცესების ორგანიზებაზე, თვითშეფასების შედეგების ანალიზზე, პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებასა და შესაბამისი განვითარების ღონისძიებების დაგეგმვაზე.

რჩევა: სასურველია სკოლამ შეიმუშავოს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელება და უზრუნველყოს მასწავლებელთა შეფასების სისტემის სისტემურობა და ერთიანობა. კერძოდ, კათედრებზე მიმდინარე აქტივობები (ურთიერთდაკვირვება, ერთობლივი დაგეგმვა,

უკუკავშირი) ინტეგრირდეს ერთიან შეფასების ჩარჩოში, რომელიც უზრუნველყოფს შედეგების დოკუმენტირებას, ანალიზსა და შემდგომ პროფესიულ განვითარებაზე მიბმას. ასევე სასურველია შეფასების პროცესი არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ გაკვეთილზე დაკვირვებით და მოიცავდეს მრავალმხრივ ინდიკატორებს (სასწავლო შედეგები, პროფესიული განვითარება, მოსწავლეთა მიღწევები), რაც უზრუნველყოფს ობიექტურ და გამჭვირვალე შეფასებას.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე. დამკვიდრებული პრაქტიკაა მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარება. სამუშაო პროცესზე დაკვირვების, ურთიერთდასწრებების შედეგად გამოვლენილი საჭიროებები დეტალურად განიხილება ინდივიდუალურად მასწავლებლებთან, რომლებიც თავის მხრივ ზრუნავენ საკუთარი პროფესიული განვითარებისთვის. სკოლა გეგმავს დანერგოს ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის საჭირო აქტივობებიც, რაც ძირითადად, გამოიხატება თემატური ტრენინგების მოძიებითა და ხელშეწყობით. სკოლა წინასწარ ადგენს საგაკვეთილო პროცესზე დასწრების განრიგს, რომლის მიხედვითაც ხორციელდება ურთიერთდასწრება. თითოეულ თანამშრომელს უფლება აქვს მიიღოს დეტალური უკუკავშირი თავისი საქმიანობის შესახებ კოლეგებისაგან, დაქვემდებარებული პირებისაგან. ამ დროისთვის სკოლისთვის ერთერთი პრიორიტეტული მიმართულება პროფესიული განვითარების კუთხით მასწავლებლებში ციფრული კომპეტენციების განვითარებაა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სკოლა ზრუნავს დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებაზე და სისტემატურად აწვდის თანამშრომლებს ინფორმაციას განათლების სისტემაში გამოცხადებული პროფესიული განვითარების ღონისძიებების შესახებ, რაც დასაქმებულებმა დაადასტურეს ინტერვიუს დროს. სკოლის პედაგოგები აქტიურად მონაწილეობენ მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში, რაც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატებითა და დამადასტურებელი დოკუმენტაციით. კათედრის წევრები ახორციელებენ ურთიერთდასწრებებსა და კოლეგიალურ უკუკავშირს, რაც ხელს უწყობს გამოცდილების გაზიარებასა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა მუდმივად ხელს უწობს პერსონალს მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სახის ღონისძიებებში, აქტივობებსა და კონფერენციებში, რაც უზრუნველყოფს საბოლოო ჯამში პერსონალის კარიერულ ზრდას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესაბამისად, განსაზღვრულია თანამშრომელთა ადაპტაციის აქტივობები. დოკუმენტით გათვალისწინებულია სხვადასხვა სახის ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის თანამშრომლისთვის ორგანიზაციული კულტურის გაცნობა, ახალი თანამშრომლისთვის უფლება – მოვალეობების გაცნობა, ინფორმირება სასწავლო და სააღმზრდელო პროცესების შესახებ, ახალი თანამშრომლის სხვა სასკოლო საზოგადოებისთვის წარდგენა. დოკუმენტში ასევე განსაზღვრულია მასწავლებლის ადაპტაციასთან მიმართებაში შესაბამისი პირების მიერ გასატარებელი აქტივობები, მათ შორის კათედრის თავმჯდომარის როლი და ვალდებულებები. პერსონალმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ თანამშრომლებში დამკვიდრებულია თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპი და თითოეული ხელს უწყობს პერსონალის

ადაპტაციას სამუშაო გარემოსთან, სკოლაში ასევე დამკვიდრებულია გუნდური მუშაობის პრინციპი. დოკუმენტაციის შესწავლითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის შინაგანაწესის შინაარსის თანახმად განსაზღვრულია წახალისების ფორმები, მუშაობაში მოპოვებული წარმატებისთვის, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის და/ან საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულთა მიმართ გამოიყენოს წახალისების ფორმები. აღნიშნულის გათვალისწინებით, წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები და ანგარიშები;
- მშობელთა კრებების ოქმები;
- ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებსა და მშობლებთან.

შეფასება:

0 გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

0 შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ქონდა შექმნილი ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, თუმცა პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს განსაზღვრავს სკოლის ადმინისტრაცია და შესაბამისი სამუშაო ჯგუფი, რომელიც ახორციელებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების განხილვასა და შეფასებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის პროცესში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლა ცდილობს საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა წარმართოს ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპებზე დაყრდნობით და უზრუნველყოს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული მმართველობა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლის საქმიანობის სხვადასხვა ასპექტი რეგულირდება შესაბამისი დოკუმენტებით, მათ შორის შინაგანაწესით. აღნიშნული რეგულაციები უზრუნველყოფს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის დაგეგმვას, განხორციელებასა და მონიტორინგს, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ორგანიზებულ და სისტემურ განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი, საჩივრის / განცხადების განხილვის მექანიზმი. დოკუმენტების შინაარსის თანახმად აღწერილია საჩივრის მექანიზმები, საჩივრის განმხილველი პირი/ორგანო, აცილების განცხადება, გასაჩივრების სუბიექტი, გასაჩივრების ვადები, წარმომადგენლობის უფლება, საჩივრის სახეები, საჩივრის ფორმა, გარემოებათა გამოკვლევა, გადაწყვეტილების მიღება და ა.შ. დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი, საჩივრის / განცხადების განხილვის მექანიზმი. უფლებების დაცვის მექანიზმების დოკუმენტის შესაბამისად განსაზღვრულია მოსწავლის და მოსწავლის მეურვის კანონიერი უფლებები, პერსონალის კანონიერი უფლებები. უფლებების დაცვის მიზნით:

- სკოლას აქვს შინაგანაწესი;
- ფუნქციონირებს სკოლის სამეურვეო საბჭო;
- სკოლას ყავს დისციპლინური კომიტეტი;
- სკოლას ყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✔ სკოლის მმართველობითი ორგანოების სხდომების ოქმები;
- ✔ სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები და ანგარიშები;
- ✔ მშობელთა კრებების ოქმები;
- ✔ ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებსა და მშობლებთან.
- ✔ განცხადების და საჩივრის განხილვის წესი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის პროცესში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებასა და უკუკავშირის მიღებას სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებით. აღნიშნული პროცესები ხორციელდება როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური კომუნიკაციის გზით. სკოლაში ინფორმაციის გაზიარება და საკითხების განხილვა ხდება პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, სამეურვეო საბჭოს შეხვედრებზე, ასევე მშობელთა კრებებზე. აღნიშნული შეხვედრები წარმოადგენს მნიშვნელოვან პლატფორმას სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის, სადაც მათ შესაძლებლობა აქვთ მიიღონ ინფორმაცია სკოლის საქმიანობის შესახებ, გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები და მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილებების განხილვის პროცესში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მიმდინარეობს შესაბამისი სხდომების ოქმების წარმოება, რაც ადასტურებს ინფორმაციის გაზიარებისა და საკითხების განხილვის პრაქტიკას. ვიზიტის პროცესში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად ასევე დადასტურდა, რომ სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს კომუნიკაციის ღია გარემოს და მზად არის სასკოლო საზოგადოების წევრებისგან მიღებულ წინადადებებსა და რეკომენდაციებზე რეაგირებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის პროცესში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები ჩართული არიან სკოლის მართვისა და სასკოლო ცხოვრების სხვადასხვა პროცესში. სკოლის მართვის სტრუქტურაში ფუნქციონირებს კანონმდებლობით განსაზღვრული კოლეგიალური ორგანოები, მათ შორის სამეურვეო საბჭო და პედაგოგიური საბჭო, სადაც განხილულია სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები. აღნიშნულ პროცესებში მონაწილეობენ სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებლები, მშობლებისა და საზოგადოების წარმომადგენლები. სამეურვეო საბჭო წარმოადგენს მნიშვნელოვან მმართველობით ორგანოს, რომელიც მონაწილეობს სკოლის საქმიანობის დაგეგმვასა და გადაწყვეტილებების მიღებაში. ამასთან, სკოლაში მოქმედებს მოსწავლეთა თვითმმართველობაც, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას სასკოლო ცხოვრებასთან დაკავშირებულ აქტივობებსა და ინიციატივებში. ინტერვიუების შედეგად ასევე დადასტურდა, რომ მშობლებსა და მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობას სკოლის საქმიანობაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მმართველობითი საქმიანობის სხდომების ოქმები;
- მშობელთა კრებების ოქმები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებსა და მშობლებთან ჩატარებული ინტერვიუები.

შეფასება:*გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

0 შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა

სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა რეგულირდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანების საფუძველზე. სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელ პრევენციულ ღონისძიებებსა და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელ ღონისძიებებს. სკოლა ვიზიტის პერიოდში სასწავლო პროცეს ახორციელებდა სკოლის ძველ შენობაში, რომელიც არ იყო აღჭურვილი ვიდეო სამეთვალყურეო კამერებით. სკოლას სამომავლოდ აქვს დაგეგმილი ახალ აშენებულ სასწავლო კორპუსში უზრუნველყოს ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მექანიზმების განხორციელება. სკოლის ტერიტორია შემოღობილია, უნდა აღინიშნოს , რომ ძველი და ახალი სკოლის შენობა მდებარეობს ერთ სივრცეში. ამჟამად ფუნქციონირებად სკოლას აქვს ერთი ძირითადი შესასვლელი და რამდენიმე საავარიო გასასვლელი. სკოლამ ვერ წარმოადგინა მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ და ასევე უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა წერილი სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა

- *სკოლას არ აქვს მიწერილობა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ და არც მიწერილობა;*
- *სკოლას არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;*
- *სკოლას არ აქვს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა*

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. რომლის მიხედვითაც სკოლა უზრუნველყოფს შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადებში

1.შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადებითი დასკვნის მოპოვების მიზნით მიწერილობის მომზადებას და გაგზავნას შესაბამის უწყებასთან. (2026 წლის სექტემბრამდე)

2.საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებას უფლებამოსილ უწყებასთან (2026 წლის სექტემბრამდე)

3. შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვებას (2027 წლის ივნისამდე)

რჩევა: სასურველია, სკოლას ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა, აკრედიტებულ ორგანიზაციაში.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია.

2.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ქონდა მოწყობილი სამედიცინო კაბინეტი და არც შესაბამის კადრთან არ ქონდა გაფორმებული ხელშეკრულება. დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად სკოლას უფიქსირდება, 2021 წლის 11 ნოემბრის მიღება- ჩაბარების აქტით „სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" მიერ გადაცემული სამედიცინო კაბინეტის სრული აღჭურვილობა, სულ საერთო ღირებულებით 3333 ლარი. როგორც დირექტორმა განმარტა აღნიშნულ სკოლის დამხმარე შენობაში, სადაც ხორციელდება სასწავლო პროცესის ჩატარება ვერ ხერხდება კაბინეტის მოწყობა და სამომავლოდ ეს განხორციელდება ახალ შენობაში. ექსპერტების მიერ, ახლად აშენებული სკოლის შენობაში, დათვალიერების შედეგად ინახა, სივრცე რომელიც გამოყოფილია სამედიცინო კაბინეტისთვის.

სკოლას არ აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად მოწყობილი შესაბამისი სტანდარტების სამედიცინო კაბინეტი, არ ყავს ექიმი.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. რომლის თანახმად, სკოლა მიიღებს შესაბამისი ორგანიზაციულ და ადმინისტრაციულ ღონისძიებებს, რათა სკოლის ტერიტორიაზე უზრუნველყოფილ იქნას პირველადი დახმარების დროული აღმოჩენა მოქმედი ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობისა და სკოლაში სამედიცინო მომსახურების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შესაბამისად. (2026 წლის სექტემბრამდე).

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია.

3.სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ხელმძღვანელობს სკოლის შინაგანაწესითა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისად. მოქმედებს მორიგეობის სისტემა და ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო. შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საგანგებო და შესაბამისი უწყებების საკონტაქტო ინფორმაცია, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და საჭიროების შემთხვევაში დროულ რეაგირებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4.სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლის ადმინისტრაციასთან, მშობლებთან, მოსწავლეებთან და პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს ემოციურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო სასწავლო გარემოს. დამრიგებლები სისტემურად აწვდიან მოსწავლეებს ინფორმაციას მათი უფლებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ, რაც ხელს უწყობს პოზიტიური ურთიერთობებისა და პასუხისმგებლობის კულტურის ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5.სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლის საშტატო განრიგით განსაზღვრულია 2 დამლაგებელი, სკოლის დამხმარე შენობაში განთავსებულია თითო სველი წერტილი გოგონებისა და ვაჟებისთვის , აღნიშნულ სივრცეებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური სტანდარტები, უზრუნველყოფილია ონკანებით, ნიჟარებითა და თხევადი საპნით, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხო და ჰიგიენურ გარემოს მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. სკოლის ახლად აშენებული შენობა, სრულად აღჭურვილია ყველა სართულზე სტანდარტის შესაბამისი სველი წერტილით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფისთვის განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი. სკოლაში მოქმედებს პერსონალური მონაცემების დაცვის შიდა რეგულაციები და მონიტორინგის მექანიზმები. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს ინფორმაციის დაცვასა და სამართლებრივ კონტროლს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7.სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

დირექტორის განმარტებით, სკოლა კომპიუტერულ რესურსებს იყენებს უსაფრთხოდ, ინტერნეტთან კავშირი მიმდინარეობს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) საშუალებით, ხოლო ნებისმიერი გამოყენებული პროგრამა ლიცენზირებულია. საქმისწარმოებისა და ბუღალტრულ დოკუმენტაციაზე წვდომა აქვს მხოლოდ იმ პირებს, რომელთაც ეს უფლება კონკრეტულად დადგენილი აქვთ ხელშეკრულებით, რაც უზრუნველყოფს სკოლის ინფორმაციის დაცვას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლას დირექტორის 2025წ11.09 N36-6 ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს მრჩეველთა საბჭო (ბრძანებაში პერიოდულად შედის ცვლილებები მისი შემადგენლობის ცვლილებებიდან გამომდინარე. მრჩეველთა საბჭო განიხილავს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში აძლევს სკოლას რეკომენდაციებს. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის ფუნქციონირება დასტურდება ოქმებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება №36-6. 11/09/2025;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები №1, 2;
- სკოლის შინაგანაწესი;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი;
- 2021 წლის 11 ნოემბრის მიღება- ჩაბარების აქტი, სამედიცინო აღჭურვილობის მიღების შესახებ;
- ამონაწერი სკოლის emis-ის საინფორმაციო სისტემიდან, დასაქმებულთა შესახებ.

შეფასება:

0 გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

0 შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ- მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარ-სგურიშის საჯარო სკოლა , რომელიც მდებარეობს 2020 წლის საჯარო რეესტრის ამონაწერით სოფელ ჭუბერი, ყარ-სგურიში ხოლო განახლებული 12/02/2026 წლის ამონაწერით მესტიის მუნიციპალიტეტი , სოფელი ყარი, 1-ლი ქუჩა N5 , საკადასტრო კოდი 42.15.34.013. წარმოდგენილ ორივე ამონაწერში მითითებულია 6050.00 კვ.მ. ფართობი. თუმცა, განახლებულ ამონაწერში საჯარო რეესტრიდან მოსარგებლედ არ ფიქსირდება სკოლა. 2020 წლის ამონაწერით შემოღობილ ფართში მდებარეობს N01 N02 შენობა: მათ შორის, N01 ძველი სკოლის შენობა ერთ სართულიანია, სადაც 6 საკლასო ოთახი, სამასწავლებლო, დირექცია-ადმინისტრაციის ოთახი, სველი წერტილები, სპორტ დარბაზის განკუთვნილი ოთახი. საკლასო ოთახებში განთავსებულია მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი მერხები და სკამები, მასწავლებლის მაგიდა და სკამი, დაფა და სხვა საჭირო ინვენტარი. სკოლას აქვს გარე სპორტული მოედანი და შესაბამისი სპორტული ინვენტარი. სკოლას აქვს სხვადასხვა თვალსაჩინოებები და აუცილებელი მატერიალური საშუალებები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. სკოლას არ აქვს ამ ეტაპზე საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. სკოლის ძველ შენობას არ აქვს ცენტრალური გათბობა.

ვიზიტის პერიოდში, ექსპერტების მიერ დათვალიერდა ახლად აშენებული სკოლის შენობა, რომლის მშენებლობაც დირექტორის განმარტებით, დასრულებულია 2024 წელს. სკოლის შენობა სრულად აკმაყოფილებს, ეროვნულ სასწავლო გეგმითა და თანამედროვე საგანმანათლებლო საჭიროებებით მოთხოვნილ სტანდარტებს. დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები, მოწყობილია სველი წერტილები. ნათელი საკლასო ოთახები, საინფორმაციო ტექნოლოგიების სივრცეები, სამასწავლებლო და ადმინისტრაციული ოთახები. შენობა სრულად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, პანდუსები, ლიფტი, ადაპტირებული სანიტარული კვანძები. ფუნქციონირებს უსაფრთხო და სტაბილური უსადენო ინტერნეტქსელი (Wi-Fi), რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესისთვის საჭირო ციფრულ რესურსებზე უწყვეტ წვდომას. გათვლილია შენობაში სივრცეები შემოქმედებითი და არაფორმალური განათლებისთვის. სასწავლო კორპუსიდან იზოლირებულ, ცალკე შენობაშია განთავსებული სპორტული დარბაზი, გასახდელებითა და საშხაპეებით. კეთილმოწყობილია ეზო, სპორტული და რეკრეაციული ზონები.

დირექტორის განმარტებით, სკოლა 2026-2027 წლის სასწავლო პროცეს განაახლებს, ახლად აშენებულ სკოლის შენობაში.

ამონაწერში საჯარო რეესტრიდან მოსარგებლედ არ ფიქსირდება სკოლა / სსიპ მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარ-სგურიშის საჯარო სკოლა, შესაბამისად ვერ დასტურდება სკოლის მატერიალური რესურსის/შენობის ფლობა მისი არსებობის ვადით.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. რომლის თანახმად, უზრუნველყოფს საჯარო რეესტრის ამონაწერის განახლებას, მასში სსიპ მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარსგურიშის საჯარო სკოლის ასახვის მიზნით. შესრულების ვადა 2026 წლის სექტემბერი.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს სასკოლო რესურსების ხელმისაწვდომობა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. დათვალიერებამ ცხადყო, რომ დაწესებულება საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა სასწავლო აქტივობაში ჩართვა, ხოლო შესვენებაზე სრულფასოვანი დასვენება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათთვის ხელმისაწვდომია სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებული რესურსი . ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს როგორც მხატვრული, ასევე მეთოდური და მოსწავლის სახელმძღვანელოებს. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, თუმცა ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მხრიდან ვერ მოხერხდა სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შეფასება. ვიზიტის პერიოდში ბიბლიოთეკას არ ქონდა ცალკე იზოლირებული სივრცე.

სკოლას არ აქვს იზოლირებული სივრცე ბიბლიოთეკისთვის.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის სივრცის მოწყობას . შესრულების ვადა - 2026 წლის სექტემბერი

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლა ვიზიტის პერიოდში საქმიანობას ახორციელებდა სკოლის ძველ შენობაში. რომელსაც არ აქვს არც პანდუსი და არც ადაპტირებული სველი წერტილი. ფუნქციონირებს რესურს ოთახი. ამ ეტაპზე სკოლის ინფრასტრუქტურა ვერ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს, თუმცა აქვს მზაობა ახალ შენობაში გადასვლის შემდეგ დააკმაყოფილოს ინდიკატორის მოთხოვნა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების, ასევე მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრების შედეგებით დგინდება, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს სოციოკულტურული სივრცის შექმნას. სკოლის შენობას აქვს საკლასო ოთახები. საკლასო ოთახები აღჭურვილია შესაბამისი რაოდენობის მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებით, მასწავლებლის მაგიდებით, კარადებით და სხვა სასკოლო ინვენტარით. სპორტდარბაზი აღჭურვილია შესაბამისი სპორტული აქტივობებისათვის საჭირო ინვენტარით. სკოლა აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საჯარო რეესტრის ამონაწერი;
- ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები;
- საშტატო ერთეული;

შეფასება:

0 გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

0 შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლას აქვს 1 კომპიუტერი,4 ნოუთბუქი რომელთაგან განთავსებულია კომპიუტერულ კლასში (დაწყებით კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა არ აღემატება 3-ს), 1 დირექციაში, 1 სამასწავლებლოში, 1 ბიბლიოთეკაში. 3 ბუკი მასწავლებლების სარგებლობაშია; ასევე აქვს 3 პროექტორი და 1 პრინტერი. სკოლა მიეწოდება ინტერნეტი. რაც შესაძლებლობას იძლევა სრულფასოვნად წარმართოს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესი, მარტივად მიიღოს და გაავრცელოს სრულყოფილი და საჭირო ინფორმაცია. სკოლა იყენებს შემდეგ ელექტრონულ პლატფორმებს: eflow, eschool, email.mes.gov.ge, signature.emis.ge, skolebi.emis.ge.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლაში საინფორმაციო ტექნოლოგიებზე წვდომა უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. მასწავლებლებსა და მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, აღნიშნული რესურსები გამოიყენონ სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობის განხორციელებისას. ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვას და მის უწყვეტ განვითარებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საინვენტარო აღწერილობების აქტი;
- ვიზუალური დათვალიერება;
- კომპიუტერული ლაბორატორიის ფოტო მასალა.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლაში საქმისწარმოება მოსაწესრიგებელია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა , რომ სკოლას შემუშავებული არ აქვს საქმისწარმოების წესი. დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები ინახება კანონმდებლობით განსაზღვრული ვადების დაცვით. საქმისმწარმოებელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება და იგი პასუხისმგებელია საქმისწარმოების პროცესის გამართულ ფუნქციონირებაზე, სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვასა და რეგისტრაციაზე, ასევე მოსწავლეებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული პროცესების სათანადო განხორციელებაზე.

სკოლას არ აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. რომლის თანახმად, უზრუნველყოფს საქმის წარმოების წესის შემუშავებასა და მის მიხედვით საქმისწარმოების მოწესრიგებას.

შესრულების ვადა 2026 წელი სექტემბერი.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (Eflow). ასევე, სკოლის მოსწავლეთა და თანამშრომელთა ინფორმაციის დეტალურად ასახვა ხდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool). აღნიშნულ სისტემაში ხორციელდება ასევე მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის შესახებ ინფორმაციის ასახვა. გარდა ამისა, სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის მიღება-გავრცელებისათვის სკოლა იყენებს ელექტრონული ფოსტას, ვებგვერდს, Microsoft Teams და სკოლის სოციალური ქსელის გვერდს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შემოწმების შედეგად დგინდება - სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო eschool.emis.ge - ის პლატფორმაზე. სკოლის საინფორმაციო ბარათში ასახულია შემდეგი მონაცემები: სკოლის მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა, განათლების სამინისტროსთან, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრთან და რესურსცენტრთან კომუნიკაციას ახდენს eflow-ს და სკოლის

ოფიციალური ელ. ფოსტის გამოყენებით, ხოლო დანარჩენ ორგანიზაციებთან, როგორც საჯარო, ასევე კერძო სტრუქტურებთან, კომუნიკაცია ხორციელდება სკოლის ელექტრონული ფოსტით. სკოლა აწვდის ინფორმაციას, ანგარიშებს და უკუკავშირს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს. თანამშრომლობს საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, ყოველწლიურად აქვეყნებს კანონმდებლობით მოთხოვნილ ინფორმაციას საკანონმდებლო მაცნეში და აგზავნის შესაბამის წერილებს საქართველოს პარლამენტთან, პრეზიდენტთან და პრემიერმინისტრთან. სკოლა საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისად უზრუნველყოფს ფინანსურ ანგარიშგებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
- ერთიანი ელექტრონული სისტემა;
- სარეგისტრაციო ჟურნალები;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი დირექტორის წლიურ ანგარიშთან დაკავშირებით.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით

საზოგადოების ინფორმირებულობისთვის სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების შესახებ, სკოლა იყენებს საინფორმაციო დაფას, ასევე ელექტრონულ პლატფორმებს, მათ შორის: სკოლის ვებ-გვერდს, Facebook გვერდსა და ელექტრონულ ფოსტას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას

ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაციის გადამოწმებით დასტურდება მათი სანდოობა. შესაბამისად, ყველა ინფორმაცია, რომელიც განთავსებულია ვებგვერდზე შეთანხმებული, შეჯერებული და ნებადართულია სკოლის ადმინისტრაციასთან.

რჩევა: სასურველია სკოლას ბრძანებით ყავდეს განსაზღვრული, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხიმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს გავრცელებული ინფორმაციის სიზუსტეს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგებით დგინდება, რომ საზოგადოებასთან კომუნიკაციის შემდეგ მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის შეფასებისათვის, რათა გააუმჯობესოს საქმიანობის ხარისხი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

სკოლას აქვს ვებგერდი პორტალზე skolebi.emis.ge. სკოლა სწავლებას ახორციელებს ქართულ ენაზე და შესაბამისად ინფორმაცია ვებგვერდზე განთავსებულია ქართულ ენაზე .

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სკოლას არ აქვს სრულად განთავსებული ვებ გვერდზე ინფორმაციას სკოლის შესახებ, კერძოდ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია,სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ მოკლე ანგარიშს, სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს და საკონტაქტო ინფორმაციას. ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებულია.

სკოლას არ აქვს სრულად განთავსებული ვებ გვერდზე ინფორმაციას სკოლის შესახებ.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, უზრუნლვეყოფს ვებ გვერდზე სტანდარტით გათვალისწინებული ინფორმაციის განთავსებას. შესრულების ვადა - 09.2026

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- https://skolebi.emis.ge/schools/1665.

შეფასება:

0 გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

0 შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლას აქვს კანონმდებლობის დაცვით დამტკიცებული ბიუჯეტი, ბიუჯეტის ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით. სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება (მაღალმთიანი რეგიონის). გარდა ამისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლას ურიცხავს ექთნის და მასწავლებელთა დანამატს. სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და ბიუჯეტის ანალიზი ადასტურებს, რომ დაწესებულების ფინანსები უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის შესრულებას. სკოლის ბიუჯეტი იმგვარადაა შედგენილი, რომ შესაძლებელია სკოლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება. სკოლის ფინანსური დაგეგმვის პროცესი მოიცავს წლიური სამოქმედო გეგმის, სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის და წლიური ბიუჯეტის შედგენას. შესყიდვების წლიურ გეგმას სკოლა შეიმუშავებს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით ყოველი წლის 20 ნოემბრამდე, წლიურ ბიუჯეტს კი შეიმუშავებს ფინანსური წლის ბოლომდე. სკოლის ბიუჯეტს ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. სკოლის დირექტორი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აბარებს ანგარიშს სამეურვეო საბჭოს ფინანსური საქმიანობის შესახებ..

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის დირექტორსა და ბუღალტერთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში ფინანსური დაგეგმვისას ხდება წინა სასწავლო წლის ფინანსური ანალიზი და შემოსავლების პროგნოზირება. საჭიროების შემთხვევაში, ხდება ბიუჯეტის გადახედვა და მასში ცვლილებების შეტანა. სკოლის შესყიდვები ხორციელდება სკოლის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. სკოლა ყოველწლიურად ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. წლის ბოლოს (10 დეკემბრამდე) დგება ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია წლის განმავლობაში შემოსული და გახარჯული ფინანსური სახსრები. სკოლა რესურსცენტრს კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში წარუდგენს ფინანსურ ბალანსს, ტვირთავს ხელშეკრულებებს შესყიდვების ელექტრონულ გვერდზე www.procurement.gov.ge ზე, შესყიდვების გეგმას კი – ePLAN მოდულში. ატვირთულია rs.ge-ze

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი წლიური ანგარიშის წარდგენაზე;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე;
- სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა.

შეფასება:

0 გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
0 შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა

სკოლაში არის მოსწავლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით შემუშავებული და დამტკიცებული მარეგულირებელი ზოგიერთი დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების დაცვას და პრაქტიკაში განხორციელებას. დაწესებულებას გააჩნია დამტკიცებული შინაგანაწესი, რომელიც არეგულირებს სასწავლო პროცესის ორგანიზებას, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას, დისკრიმინაციის პრევენციას, მოსწავლეთა ქცევის წესებს, ასევე წახალისებისა და დისციპლინური ღონისძიებების მექანიზმებს. ამავე ჩარჩოში მოქმედებს სასკოლო სასწავლო გეგმა და საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე და ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმითა და ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებით განსაზღვრული შედეგების მიღწევას, ასევე განათლების ხელმისაწვდომობის თანასწორობის უზრუნველყოფას.

სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას სკოლის მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის უფლებებთან დაკავშირებული დოკუმენტები. შინაგანაწესი და განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. ასევე, სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს „მოსწავლეთა უფლებების დაცვა სასწავლო პროცესში“. კერძოდ, დოკუმენტის მიხედვით, სკოლა უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღების თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა მოსწავლისათვის, უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის განათლების მიწოდება შესაბამისი პროგრამებით/სერვისებით, სკოლაში ჩარიცხული ყველა მოსწავლე დაცულია არასათანადო

მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან, სკოლა იღებს ყველა გონივრულ ზომას სასკოლო დროს, აგრეთვე სკოლის ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის უფლებებისა და თავისუფლებების ჯეროვანი დაცვის, დარღვევის თავიდან აცილების ან აღკვეთის მიზნით, სკოლა მოსწავლის მიმართ ქმედების განხორციელებისას გადაწყვეტილებას იღებს
მოსწავლის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინებით, მოსწავლეს და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს, უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ მის მიმართ მიღებული უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები. სადამრიგებლო პროგრამის შესაბამისად, დამრიგებელი ვალდებულია სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მათ მშობლებს გააცნოს სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია, რაც უზრუნველყოფს ინფორმირებულობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

სკოლას არ წარმოუდგენია სკოლასა და მშობლებს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება.

სკოლას არ აქვს გაფორმებული სკოლასა და მშობლებს/მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებს შორის ხელშეკრულება.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. რომლის თანახმად მშობლებთან/მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან სკოლა გააფორმებს ხელშეკრულებას შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში. 2026 წლის სექტემბერი

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა და საგნობრივი კურიკულუმები;
- შინაგანაწესი;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი;
- ვებგვერდი სკოლების პორტალზე

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები

მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურებთან დაკავშირებული დოკუმენტი სკოლას არ წარმოუდგენია. კლასისა და საფეხურის დაძლევის პირობები განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმით. ***სკოლას არ აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურებთან დაკავშირებული დოკუმენტი.***

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, უზრუნველყოფს სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების მექანიზმების განსაზღვრას.
შესრულების ვადა 2026 წლის სექტემბერი.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია.

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს

სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობისა და სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებული პროცესების აღმწერი დოკუმენტი სკოლას არა აქვს შემუშავებული.
სკოლას არ აქვს შემუშავებული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობისა და სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებული პროცესების აღმწერი დოკუმენტი.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, უზრუნველყოფს სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების მექანიზმების განსაზღვრას და მის დაცვას.
შესრულების ვადა 2026 წლის სექტემბერი.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია.

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა და საგნობრივი კურიკულუმები განსაზღვრავს შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებს, მომსახურებებს, მიზნებს, სწავლების ორგანიზების ფორმებსა და სკოლის ზოგად პოლიტიკას.
შესაბამისი დოკუმენტები ხელმისაწვდომია.
სკოლა ასევე უზრუნველყოფს ინფორმაციის რეგულარულ განთავსებას სოციალურ ქსელში (Facebook) სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია აქტივობების, სერვისებისა და პროგრამების შესახებ არის გამჭვირვალე. დირექცია და პედაგოგები მუდმივად აწვდიან საზოგადოებას ინფორმაციას როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

გასაუბრებიდან ირკვევა, რომ ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფს ინფორმაციის სიზუსტეს, ობიექტურობას და დროულ მიწოდებას. ინფორმაცია განთავსებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე და სოციალურ ქსელში (Facebook), ასევე მშობლებთან ეწყობა რეგულარული შეხვედრები. სკოლის ვებ გვერდი არ მოიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას.

სკოლას არ აქვს სრულყოფილად შევსებული ვებგვერდი.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, უზრუნლვეყოფს ვებ გვერდზე სტანდარტით გათვალისწინებული ინფორმაციის განთავსებას. შესრულების ვადა - 09.2026

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა და საგნობრივი კურიკულუმები;
- შინაგანაწესი;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი;
- დაწესებულების გვერდი სკოლების პორტალზე და სოციალურ ქსელში;

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი

სკოლას დამტკიცებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომელიც ვერ წარმოადგინა. შინაგანაწესში მხოლოდ მოსწავლეთა წახალისების, დისციპლინური დევნისა და დისციპლინურ სახდელებზეა საუბარი. „სასკოლო სასწავლო გეგმაში“ არის „ტრანზიციის მხარდამჭერი აქტივობების“ ნაწილი, სადაც გაწერილია მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, სადაც აღნიშნულია, რომ „ადაპტაციის წესით სკოლა მიზნად ისახავს დაეხმაროს მოსწავლეს შეეგუოს სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებას. დაამყაროს წარმატებული კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და ჰქონდეს შესაძლებლობა, ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში“ და გაწერილია ადაპტაციის ნაბიჯები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

„სასკოლო სასწავლო გეგმის“ მიხედვით, სკოლა გამოხატავს მზაობას, უზრუნველყოს მოსწავლეთა ეფექტიანი ინტეგრაცია სასკოლო გარემოში. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით:

- „. სკოლა აღგენს დეზადაპტაციის ნიშნებს და მიმართავს შესაბამის ზომებს მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ადაპტაციის გაადვილების მიზნით.
- საქმისმწარმოებელი შესაბამისი კლასის დამრიგებელს აწვდის ინფორმაციას ახალი მოსწავლის შესახებ და წინა სკოლიდან მიღებულ პირად საქმეს;
- აღიარების საფუძველზე სკოლაში ჩარიცხული მოსწავლის შემთხვევაში, სკოლის საქმისმწარმოებელი აწვდის კლასის დამრიგებელს მოსწავლის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების შესახებ ინფორმაციას;
- კლასის დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს კლასის მასწავლებლებს;
- ახალი მოსწავლის დასწრების პირველივე გაკვეთილზე (ან დასვენებაზე) დამრიგებელი აცნობს მოსწავლეებს კლასის ახალ მოსწავლეს და აძლევს საკუთარი თავის წარდგენის საშუალებას;
- ზოგადად დამრიგებელი პირველივე სადამრიგებლო საათს იყენებს მოსწავლეთა გაცნობისა და დაახლოებისთვის;
- დამრიგებელი მუდმივ კომუნიკაციაშია ახალ მოსწავლესა და მის მშობელთან და იგებს ინფორმაციას მოსწავლის განწყობისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ;

- 10. დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს თავის უფლება-მოვალეობებს, შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს და სხვა საჭირო შიდა აქტებს, ასევე, სკოლაში ქცევის ზოგად წესებს და უსაფრთხოების ინსტრუქციებს“

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მხარდაჭერას. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სწავლა-სწავლების პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა პროგრესზე და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურ განვითარებაზე. სკოლა საჭიროების შემთხვევაში გეგმავს დამატებით კონსულტაციებს და მხარდაჭერას, მათ შორის აკადემიური სირთულეების დაძლევის მიზნით. სკოლა ასევე რეგულარულად აწვდის მშობლებს ინფორმაციას მოსწავლეთა მიღწევების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა კანონით განსაზღვრული უფლებების რეალიზებას შესაბამისი ადმინისტრაციული მხარდაჭერით. პირველკლასელთა რეგისტრაციის პროცესის შესახებ ინფორმაცია დროულად ქვეყნდება საჯარო სივრცეში, რაც მშობლებს აძლევს შესაძლებლობას კანონით დადგენილ ვადებში განახორციელონ რეგისტრაცია.

ამასთან, უზრუნველყოფილია მოსწავლეთა პირადი საქმეებისა და ელექტრონული ბაზების დროული და მოწესრიგებული წარმოება. სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად, დირექტორი განიხილავს მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვების საკითხებს, ხოლო სკოლა საჭიროების შემთხვევაში ორგანიზებას უწევს ექსტერნატის გამოცდების ჩატარებას. აღნიშნული ადმინისტრაციული პროცესები ხელს უწყობს განათლების ხელმისაწვდომობისა და უწყვეტობის უზრუნველყოფას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლა ხელს უწყობს დამატებითი და არაფორმალური აქტივობების განვითარებას და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

„სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით“: „სკოლის პოლიტიკიდან გამომდინარე, ძირითადი საგნების შესწავლასთან ერთად, მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების მიღება, მოსწავლეების განვითარება კულტურული, სპორტული და სხვა მიმართულებებით. სკოლის სურვილია მოსწავლეებს შეეძლოთ მათთვის საინტერესო მომსახურება მიიღონ ადგილზე. ზემოთ აღნიშნული დამატებითი მომსახურების შეთავაზება მოხდა სკოლის მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით. აგრეთვე გათვალისწინებულია მშობელთა ინტერესებიც. 2024-2025 სასწავლო წელს, მოსწავლეები ინტერესების მიხედვით, გაერთიანებული არიან შემდეგ წრეებსა და კლუბებში: **მათემატიკის, ინგლისურის, ისტორიის, მუსიკის, სპორტის** მიმართულებით“.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლა გამოხატავს მზაობას, სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის საფუძველზე გააუმჯობესოს მოსწავლეთა მომსახურება. „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის“ შესაბამისად, სკოლა სისტემურად ითვალისწინებს უკუკავშირს, რომელიც შესაძლებელია ასახულ იქნეს სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანისას. ასევე, კურიკულუმის მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის შემუშავებისა და გადახედვის პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების მოსაზრებები და არსებული გამოცდილების ანალიზი, რაც ემსახურება საგანმანათლებლო პრაქტიკის გაუმჯობესებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა და საგნობრივი კურიკულუმები;
- შინაგანაწესი;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი;
- დაწესებულების გვერდი სკოლების პორტალზე და სოციალურ ქსელში;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის

სკოლაში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის სერვისი ნაწილობრივ არის ხელმისაწვდომი მოსწავლეებისთვის და ძირითადად ინტეგრირებულია სადამრიგებლო საათების ფარგლებში, სადაც განიხილება პროფესიის შერჩევასთან დაკავშირებული საკითხები. დამრიგებლის დებულების შესაბამისად, დამრიგებელი ეხმარება მოსწავლეებს საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირებაში და სამომავლო გეგმების ფორმირებაში.

სკოლას მჭიდრო ურთიერთობა აქვს მესტიის პროფესიულ სასწავლებელთან „თეთნულდი“, ხშირია მოსწავლეთა ვიზიტები სასწავლებელში, ასევე პროფესიული სასწავლებლის ვიზიტი სკოლაში. ამ თანამშრომლობის საფუძველზე სკოლას აქვს მათგან გადმოცემული რამდენიმე კომპიუტერი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებას პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული განვითარების საკითხებზე. პროცესის ორგანიზებას ძირითადად ახორციელებენ დამრიგებლები, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში გეგმავენ და ატარებენ შესაბამის სადამრიგებლო საათებს, ასევე აწყობენ ერთობლივ შეხვედრებს მოსწავლეებთან და მშობლებთან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

სკოლის თვითშეფასების შედეგად იკვეთება, რომ დაწესებულება აკვირდება კურსდამთავრებულთა პროფესიული განვითარების შედეგებს. ასევე, დამრიგებლები სასწავლო წლის ბოლოს წარადგენენ საქმიანობის ანგარიშს და აფასებენ განხორციელებული აქტივობების ეფექტიანობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა და საგნობრივი კურიკულუმები;
- შინაგანაწესი;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი;
- დაწესებულების გვერდი სკოლების პორტალზე და სოციალურ ქსელში;
- მემორანდუმი

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი

სკოლაში ინკლუზიური განათლების პროცესი დარეგულირებულია სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლას ჰყავს 1 სსსმ მოსწავლე, მისთვის იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის შემუშავებასა და განხორციელებას უზრუნველყოფს ისგ ჯგუფი.გასაუბრებიდან გამომდინარე, ისგ ჯგუფი საჭიროებისამებრ იკრიბება, ახორციელებს მონიტორინგს, აფასებს პროგრესს და საჭიროების შემთხვევაში განიხილავს ინდივიდუალურ გეგმაში ცვლილებებს.სკოლას ბრძანებით დამტკიცებული აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, რომელიც არ არის წარმოდგენილი. სკოლაში, ყველა საგანში შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

სკოლას არ აქვს შემუშავებული ინკლუზიური განათლების, დაგეგმვისა და მხარდაჭერის ამსახველი დოკუმენტები და ასევე, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა“.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. რომლის მიხედვითაც სკოლამ შეიმუშავებს და დანერგავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმს, რომელიც განსაზღვრავს სსსმ მოსწავლეთა საჭიროებების გამოვლენის, მხარდაჭერის დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესს, პასუხისმგებელ პირებსა და თანამშრომლობის ფორმებს მოქმედი კანონმდებლობისა და ინკლუზიური განათლების პრინციპების შესაბამისად,. შესრულების ვადა 2026 წელი სექტემბერი

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია.

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

სკოლაში სსსმ მოსწავლისთვის დირექტორის ბრძანებით შექმნილია ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდუალური გეგმების შემუშავებასა და მათი განხორციელების მხარდაჭერას. სკოლას აქვს რესურს ოთახი, არ ჰყავს სპეციალური მასწავლებელი, თუმცა ჰყავს ინდივიდუალური ასისტენტი. ინკლუზიური განათლების პროცესი დარეგულირებულია სასკოლო სასწავლო გეგმით, რომელიც ეფუძნება მასწავლებელთა და მშობლის თანამშრომლობას.

სკოლას არ ყავს სპეციალური მასწავლებელი .

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. რომლის მიხედვითაც განსაზღვრულ ვადებში კონკურსის წესით შერჩეულ იქნება კვალიფიციური სპეციალური პედაგოგი. -2026 წელი სექტემბერი

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა და საგნობრივი კურიკულუმები;
- შინაგანაწესი;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი;

- დაწესებულების გვერდი სკოლების პორტალზე და სოციალურ ქსელში;

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სკოლას დამატებითი არასავალდებულო ხასიათის ფასიანი მომსახურეობის სახით აქვს ცეკვის წრე, სკოლას არ აქვს გაცემული ფართი იჯარით სარგებლობაში.სკოლის მოსწავლეებს, რომელთა საცხოვრებელი სახლი სკოლიდან დაშორებულია 2 კილომეტრზე მეტი მანძილით ემსახურება ტრანსპორტი, მძღოლს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია და მართვის მოწმობა, რომლის შემოწმებას ახორციელებს შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსცენტრი. მოსწავლეთა ტრანსპორტირება ხორციელდება 1 მიმართულებით. სკოლამ წარმოადგინა ტაბელის ფორმა, რომლითაც ყოველდღიურად აღირიცხება შესრულებული მარშრუტი. ფორმა ხელმოწერილია პასუხისმგებელი პირისა და სერვისის მიმწოდებლის მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას

სკოლაში გათვალისწინებულია ყველა მოსწავლის ინტერესი, ყველა განხორციელებული აქტივობა ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას, კანონმდებლობის სრული დაცვით, სკოლის მოსწავლეებს, რომელთა საცხოვრებელი სახლი სკოლიდან დაშორებულია 2 კილომეტრზე მეტი მანძილით ემსახურება ტრანსპორტი, მძღოლს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია და მართვის მოწმობა, რომლის შემოწმებას ახორციელებს შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსცენტრი. ასევე სკოლაში ფუნქციონირებს ცეკვის წრე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

ვიზიტის პერიოდში სკოლაში ფუნქციონირებდა ცეკვის წრე, რომლის საქმიანობისთვის სკოლას არ ქონდა მოპოვებული კანონმდებლობით დადგენილი თანხმობები. სკოლის მიერ ტრანსპორტირების მომსახურების გაწევის შესახებ ინფორმაცია კი აღწერილი და შეფასებულია 4.2.4.1 ინდიკატორში

სკოლაში მოქმედი ცეკვის წრის ფუნქციონირებისთვის არ არის დაცული კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები. კერძოდ ფართი არ არის გაცემული იჯარით, პედაგოგთან არ არის გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. რომლის მიხედვითაც, მოაწესრიგებს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში წრის ფუნქციონირებას კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციების შესაბამისად . განხორციელებს ფართის იჯარით გაცემას შესაბამისი იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. გაფორმდება პედაგოგთან მომსახურების ხელშეკრულება.

შესრულების ვადა 2026 წლის სექტემბერი

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მძღოლების დოკუმენტაცია და ტაბელები

შეფასება:

0 გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

0 შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **(დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)**	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **(საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)**	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **(საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)**	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

„კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის“ მუხლი 2, პუნქტი 2 განსაზღვრავს, რომ კურიკულუმის ფუნქციაა, ერთი მხრივ, წარმოაჩინოს სკოლის ტრადიციები და პრიორიტეტები, ხოლო მეორე მხრივ უზრუნველყოს შეთანხმება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. ამავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კურიკულუმის დანერგვა წარმატებულია მაშინ, როდესაც მის შინაარსს იზიარებენ და მის განვითარებაში მონაწილეობენ მასწავლებლები, დირექცია და მშობლები.

ასევე, „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის“ ნაწილში, სადაც აღწერილია განვითარების ეტაპები, კურიკულუმი წარმოდგენილია როგორც უწყვეტი პროცესი, რომელიც მოიცავს შემუშავებას, დანერგვას, მონიტორინგსა და შეფასებას, ასევე გადასინჯვასა და რევიზიას, რაც ქმნის პირობებს სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებებისა და გამოცდილების ასახვისთვის.

დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლას შექმნილი აქვს მეთოდოლოგიური საფუძველი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულ იქნას სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები და განვითარების პრიორიტეტები. პრაქტიკაში გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავებაში ძირითადად ჩართული არიან ადმინისტრაცია და პედაგოგები, ხოლო საზოგადოების სხვა ჯგუფების მონაწილეობის ფორმები ნაკლებად ფორმალიზებული და დოკუმენტირებულია.

რჩევა: სასურველია, სკოლამ უფრო მკაფიოდ განსაზღვროს სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის (მოსწავლეები, მშობლები, თანამშრომლები) მონაწილეობის მექანიზმები, მათ შორის საჭიროებების კვლევის, უკუკავშირის მიღებისა და გადაწყვეტილებებში მათი ასახვის პროცედურები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

„კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის“ მუხლი 2, პუნქტი 2 ხაზს უსვამს, რომ კურიკულუმის ეფექტიანი დანერგვა დაკავშირებულია მისი შინაარსის გაზიარებასთან სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. ამავე დოკუმენტში განსაზღვრულია ადმინისტრაციის პასუხისმგებლობა საზოგადოების ინფორმირებისა და კოორდინაციის მიმართულებით.

ინტერვიუსა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში კურიკულუმთან დაკავშირებული საკითხები განიხილება კათედრებისა და ადმინისტრაციის ფორმატში. თანამშრომლებს აქვთ წარმოდგენა კურიკულუმის მიზნებსა და განვითარების მიმართულებებზე. თუმცა ნაკლებად იკვეთება, თუ როგორ ხდება კურიკულუმის შინაარსისა და ცვლილებების სისტემური გაზიარება მშობლებთან და მოსწავლეებთან, რადგან მეთოდოლოგიის დოკუმენტი ზოგადად აღწერს ამ პროცესს: კურიკულუმის განვითარების პროცესში მასწავლებლებსა და დირექციას მკაფიოდ განსაზღვრული ფუნქციები აქვთ. კერძოდ, სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებელი ვალდებულია აქტუალური და პრობლემური საკითხები განიხილოს მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, რაც აჩენს სივრცესა და შესაძლებლობებს კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი ჩართულობისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

„კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის“ მუხლი 2, პუნქტი 2 განსაზღვრავს, რომ „კურიკულუმის დანერგვა მაშინ მიმდინარეობს წარმატებით, როცა მის შინაარსს იზიარებენ და მის განვითარებაში მონაწილეობენ სკოლის მასწავლებლები, დირექცია და მშობლები“. ასევე, დოკუმენტში გაწერილია კათედრებისა და ადმინისტრაციის ფუნქციები კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების პროცესში.

წარდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლაში კურიკულუმის შემუშავება აღქმულია როგორც თანამშრომლობითი პროცესი, რომელშიც ჩართული უნდა იყოს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული. გასაუბრებიდან გამომდინარე, პრაქტიკაშიც ჩანს, რომ კათედრები მონაწილეობენ სასწავლო გეგმის დაგეგმვასა და საგნობრივი მიმართულებების განსაზღვრაში, ხოლო ადმინისტრაცია უზრუნველყოფს პროცესის კოორდინაციას. ამასთან, ნაკლებად იკვეთება მოსწავლეთა და მშობელთა უშუალო მონაწილეობის დოკუმენტირებული მტკიცებულებები. ასევე, არის ასეთი ჩანაწერი, რომ სკოლამ თავად უნდა დააკონკრეტოს რა ფორმით უნდა განხორციელდეს მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, თუმცა, შემდგომ არ არის დაკონკრეტებული.

რჩევა: სასურველია სკოლამ უფრო დეტალურად აღწეროს სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის ჩართულობის ფორმები და უზრუნველყოს მათი მონაწილეობის ამსახველი მტკიცებულებების სისტემური აღრიცხვა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

„კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის“ მუხლი 2, პუნქტი 2 განსაზღვრავს, რომ კურიკულუმის დანერგვა წარმატებულია მაშინ, როდესაც მის შინაარსს იზიარებენ და მის განვითარებაში მონაწილეობენ სკოლის მასწავლებლები, დირექცია და მშობლები.

ამავე დოკუმენტში კურიკულუმის განვითარება წარმოდგენილია როგორც უწყვეტი პროცესი, რომელიც მოიცავს შემუშავებას, დანერგვას, მონიტორინგსა და შეფასებას, რაც გულისხმობს პროცესის მონაწილეთა ინფორმირებასა და ჩართულობას.

„ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკით“ განსაზღვრულია სამუშაო შეხვედრების, შეფასების, უკუკავშირის და პროცესების მონიტორინგის მექანიზმები, რაც მიუთითებს, რომ სკოლაში არსებობს კურიკულუმთან დაკავშირებული კომუნიკაციისა და შეთანხმების სივრცეები. დოკუმენტაციისა და გასაუბრებების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლაში არსებობს კურიკულუმთან დაკავშირებული ინფორმაციის გაზიარებისა და სამუშაო განხილვების პრაქტიკა, განსაკუთრებით ადმინისტრაციისა და პედაგოგების დონეზე. თუმცა ნაკლებად იკვეთება სისტემური მექანიზმები, რომლებიც დაადასტურებდა კურიკულუმის გაზიარების ხარისხს მშობლებსა და მოსწავლეებთან, ასევე მათი უკუკავშირის გამოყენებას.

რჩევა: სასურველია სკოლამ დანერგოს კურიკულუმის შინაარსისა და ცვლილებების, მშობლებისა და მოსწავლეებისთვის გაზიარების უფრო მრავალფეროვანი და სისტემური მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
2. „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ მოწოდებულ მასალებში ჩანს, რომ სამივე საფეხურზე მასწავლებლების მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასწავლებლებს კურიკულუმის შემუშავების პროცესში შერჩეული აქვთ კურიკულუმის ჩარჩოს ფორმა, სადაც ჩანს თემა, სამიზნე ცნება/ქვეცნებები, საკითხი/ქვესაკითხები და მათ მიერ გათვალისწინებული შემოქმედებითი დავალებები, სულ მცირე იდეის დონეზე მაინც, რითაც გეგმავენ შუალედური მიზნის მიღწევას და მის განსახორციელებლად საჭირო რესურსები. წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში ყველა სტრუქტურული ერთეული სწორადაა განსაზღვრული. **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოს ფორმა შეიმუშაოთ კათედრაზე და გქონდეთ ყველა კლასში ერთნაირი თანმიმდევრობით გაწერილი სტრუქტურული ერთეულებით; ყველა თემის, ყველა ძირითად საკითხთა კლასტერში გქონდეთ დაგეგმილი შემოქმედებითი დავალებები და მითითებული შესაბამისი კონკრეტული რესურსები.**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს და ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა რომ კურიკულუმის შემუშავება ხდება მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, ასევე სასკოლო საზოგადოების (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი) ჩართულობით. საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი შემოქმედებითი ხასიათის დავალებები მოსწავლეებს გაუღვივებს ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის განცდას, მისცემს მათ ავტონომიურობისა და შემოქმედებითობის გამოვლენის საშუალებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი თითოეული საფეხურის კურიკულუმი ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. დოკუმენტში განსაზღვრული სამიზნე ცნებები, შუალედური მიზნები და შემოქმედებითი აქტივობები ორიენტირებულია აქტიური, ინტერაქციული და თანამშრომლობითი სასწავლო გარემოს შექმნაზე. კათედრის წევრებმა ინტერვიუზე აღნიშნეს, რომ კურიკულუმის დაგეგმვისა და გადაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. **რჩევა:** კურიკულუმის შემდგომი დახვეწის მიზნით, უცხოური ენის კათედრამ სასურველია სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი ძირითადი ცნებების (ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები) უფრო დეტალურად დაკონკრეტება ქვეცნებების დონეზე, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო შინაარსის მეტად სტრუქტურირებულ და გამჭვირვალე ორგანიზებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრაზე სამივე საფეხურისათვის შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო წარმოადგენს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. კურიკულუმის ჩარჩო ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია კომპლექსური, კონტექსტის მქონე ტიპის დავალებები, რომლებიც შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის ურთიერთდაკავშირებასა და ტრანსფერს, სააზროვნო უნარების განვითარებას, ცოდნის გამთლიანებას, ორგანიზებასა და ურთიერთადაკავშირებას კომპლექსური, კონტექსტის მქონე პროდუქტის შექმნისას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმი სამივე საფეხურზე წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები, შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ან კომპლექსური ბუნების დავალებებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შემოქმედებით პროდუქტზე მუშაობის დროს, მოსწავლეები ითვალისწინებენ წინასწარ განსაზღვრულ შეფასების კრიტერიუმებს, ხოლო მასწავლებელები სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ აღსაზრდელთა საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლამ წარმოადგინა მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმები, რომელიც წარმოადგენს სტრუქრურიებულ დოკუმენტს, შემუშავებულია მათემატიკის საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით, აკმაყოფილებენ კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნებს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომონენტს. კურიკულუმებში გაწერილია შემოქმედებითი დავალების იდეები, რომლებიც ემსახურება გრძელვადიანი მიზანზე გასვლას და წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს. გრძელვადიანი მიზნები წარმოდგენილია სტანდარტის სამიზნე ცნებების სახით. ზემოთ ქმული მეტყველებს, რომ კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესიის დაგეგმვისა და განვითარების გზას. იგივე დაადასტურეს კათედრის წევრებმაც გასაუბრების დროს. **რჩევა:** · მიზანშეწონილია ინფორმაცია საგნობივი კურიკულუმის შესახებ შეიცავდეს: კურიკულუმის სახელწოდებას, სასწავლო საგნის ხანგრძლივობა სემესტრის/ წლის განმავლობაში, ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსებს; · მიზანშეწონილია შემუშავებულ კურიკულუმში გაწერილ იყოს საგნობრივი სტანდარტით განსაზღრული ყველა თემა და კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტში თემების ფორმულირება წამოდგენილი იყოს მათემატიკის სტანდატის შესაბამისად. · სასურველია, მიეთითოს კურიკულუმით განსაზღულ თემას წლის/სემესტრის განმავლობაში ჯამური საათობრივი დატვირთვა; **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

სპორტი	მასწავლებლების მიერ შემუშავებული კურიკულუმები ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების საფუძველს. კურიკულუმების შემუშავებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, ინტერესებს, საჭიროებებსა და ასაკობრივ თავისებურებებს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიზანმიმართულ და თანმიმდევრულ განვითარებას. თემები, აქტივობები და დავალების პირობა შერჩეულია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად და წარმოდგენილია მოსწავლეთათვის საინტერესო, პრაქტიკულ და რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ კონტექსტში, რაც საბოლოოდ ქმნის ეფექტურ, დინამიკურ და მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	საგნობრივი კურიკულუმი იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განხორციელების შესაძლებლობას. შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის ურთიერთდაკავშირებასა და ტრანსფერს, სააზროვნო უნარების განვითარებას, ცოდნის გამთლიანებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას კომპლექსურ პროდუქტის შექმნისას. წარმოდგენილ კურიკულუმში მუშავდება სტანდარტით გათვალისწინებული საგნობრივი მიმართულებები (კომპიუტერული ტექნოლოგიები, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ციფრული წიგნიერება) და ასევე, ყველა სამიზნე ცნება. სასწავლო პროცესისთვის რესურსების შერჩევის პრინციპი ეფუძნება სწავლის გრძელვადიანი მიზნებს. გამოიკვეთა, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. ***რჩევა:*** *სასურველია მომდევნო სასწავლო წლისთვის კურიკულუმში გადაიხედოს ყველა სამიზნე ცნება, რომელიც შესაბამისობაში იქნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და ამოცანებს. ასევე, კარგი იქნება, თუ კურიკულუმში მოსწავლეებისთვის უფრო მკაფიოდ და ცხადად იქნება გაწერილი ცნებები, საკითხები/საკითხთა კლასტერი, ყველა კონტექსტ-მაგალითი, შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობა შუალედური მიზანი, გამოკვეთილი იქნება მათი განხორციელებისთვის საჭირო ყველა აუცილებელი დანართი, ვიდეო, აუდიო, ციფრული თუ ელექტრული მასალა, სიმულაციები, განმსაზღვრელი ან/და განმავითარებელი შეფასებები და სხვ.* **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების განხილვისა და მასწავლებელთა ინტერვიუს შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ყველა საგნის კურიკულუმში (I – IV კლ.) მოცემულია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, საკითხები/ქვესაკითხები, გრძელვადიანი მიზნები. კურიკულუმი შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებთან. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეებში ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაზე. ამ უნარების ჩამოყალიბება ხდება საგაკვეთილო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივი კურიკულუმები იმგვარადაა შექმნილი, რომ ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების – სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების დამუშავებას. კურიკულუმის ჩარჩოებში ძირითადად ასახულია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, საკითხები, სადაც დაგეგმილია კომპლექსური დავალება, ასევე მითითებულია გამოყენებული რესურსებიც, ყველაფერი ეს კი ემსახურება კონკრეტული საკითხის კონტექსტში სამიზნე ცნებების გააზრებას. მასწავლებლებს გასაუბრების დროს გავაცანი საბაზო და საშუალო საფეხურის საგნების კურიკულუმებში გამოკვეთილი საკითხები და განვითარების საჭიროებები, რაც შეეხებოდა კურიკულუმის ჩარჩოს კონცეფციის მცირეოდენ განსხვავებებს საგნებისა თუ კლასების მიხედვით. ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით მასწავლებლებს მივეცი **რჩევა:** სასურველია საბაზო და საშუალო საფეხურზე, ყველა კლასისა თუ საგნის კურიკულუმი გაწერილი იყოს ერთნაირ ჩარჩო დოკუმენტში; ასევე, მნიშვნელოვანია კურიკულუმის ჩარჩოებში ჩანდეს სავალდებულო თემების სახელწოდება საგნობრივი სტანდარტების შესაბამისად; სასურველია თითოეული თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები ერთმანეთისგან გამიჯნულად იყოს ჩამოშლილი; მნიშვნელოვანია თითოეულ საკითხთან მიმართებით მიუთითოთ ის სამიზნე ცნებები და ქვეცნებები – რომელიც დამუშავდება კონკრეტული საკითხის ჭრილში, ასევე, სასურველია თითოეულ თემაში მუშავდებოდეს საგნის ფარგლებში არსებული ყველა სამიზნე ცნება; კონტექსტ-მაგალითის ველში შეგიძლიათ მიუთითოთ კონკრეტული ქეისი, რომლითაც ფიქრობთ ვრცელი საკითხის განხილვა-დამუშავებას და მასზე შემოქმედებითი ხასიათის დავალების დანერგვას; კომპლექსური დავალების იდეაში – საკმარისი იქნება ჩანდეს თუ რა საკითხთან მიმართებით რა სახის პროდუქტი უნდა შეიქმნას; „შედარების მაგალითში“ შესაძლებელია მიუთითოთ მოსწავლეებისთვის უკვე კარგად ნაცნობი – ნასწავლი/თანამედროვე ცხოვრებისეული მაგალითები; ასევე, გამოყენებულ რესურსებში სახელმძღვანელოს ავტორთან ერთად სასურველია თუკი მიუთითებთ: გამომცემლობას, პარაგრაფის ნომერსა და გვერდს, ამასთანავე შესაძლებელია დამატებითი ინტერნეტ-რესურსების მითითებაც. მასწავლებლებს ვიზიტის პირველივე დღეს მივეცი უკუკავშირი გამოსასწორებელი საკითხების შესახებ, ჩანს, რომ მათ აქვთ მზაობა გაითვალისწინონ რჩევები და ახალი სასწავლო წლისთვის მეტად დახვეწონ კურიკულუმების ჩარჩოები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები	უცხოური ენის სამივე საფეხურის კურიკულუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნობრივ სტანდარტებსა და იძლევა შესაძლებლობას მოსწავლემ მიაღწიოს ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაზღვრულ შედეგებს. კურიკულუმის სტრუქტურა ეფუძნება სამი ძირითადი კატეგორიის გამოყოფას: ტექსტი, სამეტყველო ქმედება და ენობრივი საშუალებები. ასეთი კლასიფიკაცია ხელს უწყობს ენობრივი კომპეტენციების ინტეგრირებულ განვითარებას, რაც მოიცავს ტექსტის გააზრებას, კომუნიკაციური ფუნქციების ეფექტიან განხორციელებას და შესაბამისი გრამატიკული თუ ლექსიკური რესურსების მიზანმიმართულ გამოყენებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	მტკიცებულებებით წარმოდგენილი სამივე საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნის სტანდარტების მოთხოვნებს. ძირითადად, გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრავრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად, თემატური ბლოკების/თემების ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგი და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშირებული ქვეცნებები. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები) და დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარის, თანდართული დოკუმენტაციითა და ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სამივე საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებში ორიენტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე. საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი), შუალედური მიზანი/მიზნები, სათობრივი დატვირთვა, სემესტრული განაწილება, ასევე კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. შუალედური სასწავლო მიზანი განსაზღვრულია კომპლექსური ბუნების დავალებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით და კათედრის წევრებთან გასაუბრებიტ დასტურდება, რომ მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებები და შედეგები გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირით. სამიზნე ცნებები, საკითხები კავშირშია ერთმანთთან. საკითხი/საკითხთა კლასტერი, ამუშავებს სამიზნე ცნებებს. შემოქმედებითი დავალების იდეა, უზრუნველყოფს სტანდარტით განსაზღრულ შედეგებზე გასვლას. ასევე კათედრის წევრებმა გამოხატეს მზაობა, რომ შემუშავებული კურიკულუმები მიმართული იქნება ესგ-ით განსაზღრული მიზნებისაკენ. **რჩევა:** · სასურველია, მოკლედ ჩაშალოთ სამიზნე ცნებები, რომელიც მოსწავლემ კონკრეტული თემის/საფეხურის ფარგლებში უნდა გაიაზროს და შეისწავლოს; **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმები ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განვითარებას. კურიკულუმში თემის ფარგლებში მუშავდება გრძელვადიანი სამიზნე ცნებები და მასთან დაკავშირებული ქვეცნებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავებასა და პრაქტიკაში ეფექტურ გამოყენებას. ყველა თემას ახლავს შუალედური დავალების პირობა - საკლასო, ან სასკოლო სპორტული ფესტივალი. მრავალფეროვანი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, თანამშრომლობითი უნარების განვითრებასა და სწავლის მოტივაციის ამაღლებას. ამასთანავე, კურიკულუმები ორიენტირებულია როგორც ფიზიკური განვითარების, ისე პასუხისმგებლობის, თვითდისციპლინის, გუნდური მუშაობისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებაზე, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების მაქსიმალურ განვითარებას. მასწავლებლებმა გაითვალისწინეს ინტერვიუს დროს გაცემული რჩევები და ვიზიტის შემდეგ წარმოადგინეს განახლებული კურიკულუმები.მასწავლებლებმა გაითვალისწინეს ინტერვიუს დროს გაცემული რჩევები და ვიზიტის შემდეგ წარმოადგინეს განახლებული კურიკულუმები. **რჩევა - დაწყებითი საფეხური:** I და III კლასის კურიკულუმებში თემებთან - „ტანვარჯიშის ელემენტები“, „ძალისმიერი ვარჯიშები“, „გასართობი თამაშები კალათბურთის ელემენტებით“ - მითითებულია სამიზნე ცნებად - „მოძრაობითი უნარები“, რომელიც სამიზნე ცნება - „ჯანსაღი ცხოვრების წესის“ ქვეცნებაა (მოძრაობითი ფიზიკური აქტივობა), სასურველია მასწავლებლებმა გაასწორონ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სტანდარტის შესაბამისად. **რჩევა - საბაზო საფეხური:** კურიკულუმებში თემასთან „ფეხბურთი“ სამიზნე ცნება „ორგანიზებულობა და თვითკონტროლის“ ნაცვლად წერია „ორგანიზებულობა და თამაშის მიმდინარეობისას სხეულის მოძრაობის კონტროლი“, სასურველია გაასწორონ. თემებთან „ფეხბურთი“, „მაგიდის ჩოგბურთი“, „მკლავჭიდი“ -

	მითითებულია სამიზნე ცნებად – „მოძრაობითი უნარები“, რომელიც სამიზნე ცნება – „ჯანსაღი ცხოვრების წესის“ ქვეცნებაა (მოძრაობითი ფიზიკური აქტივობა), სასურველია მასწავლებლებმა გაასწორონ. თემასთან „მაგიდის ჩოგბურთი“ მითითებულია სამიზნე ცნებად „თამაშის ტაქტიკა და წესები“, რომელიც ისედაც ინტეგრირებულია „ორგანიზებულობა და თვითკონტროლში“ ქვეცნებად, სასურველია მასწავლებლებმა სამიზნე ცნებები დააკორექტირონ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სტანდარტის შესაბამისად. **რჩევა – საშუალო საფეხური:** თემებთან „ფეხბურთი“, „მაგიდის ჩოგბურთი“, „მკლავჭიდი“ – მითითებულია სამიზნე ცნებად – „მოძრაობითი უნარები“, რომელიც სამიზნე ცნება„ჯანსაღი ცხოვრების წესის“ ქვეცნებაა (მოძრაობითი ფიზიკური აქტივობა), სასურველია მასწავლებლებმა გაასწორონ. სხვადასხვა თემასთან სამიზნე ცნებად მითითებულია – „ტაქტიკა და გუნდური თამაში“, „თამაშის ტაქტიკა და წესები“ და „თამაშის წესები და უსაფრთხოება“, რომელიც სამიზნე ცნება – „ორგანიზებულობა და თვითკონტროლის“ ქვეცნებაა (უსაფრთხოების დაცვა, ძირითადი წესები), სასურველია მასწავლებლებმა გაასწორონ. თემასთან „ფრენბურთი“ სამიზნე ცნებად „ფრენბურთის ტექნიკა“ არის მითითებული, „ფიზიკური თვისებები“ არა, სასურველია გაასწორონ. თემასთან „ფრენბურთი“ სამიზნე ცნება „ორგანიზებულობა და თვითკონტროლის“ ნაცვლად წერია „ორგანიზებულობა და თამაშის მიმდინარეობისას სხეულის მოძრაობის კონტროლი“, სასურველია მასწავლებლებმა სამიზნე ცნებები დააკორექტირონ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სტანდარტის შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	საგნობრივი კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, სადაც წარმოდგენილი გრძელვადიანი მიზნების ფარგლებში წარმოდგენილი იდეა/პირობა კომპლექსური დავალებები, შევსებული სტანდარტის შედეგების მისაღწევი დეტალების (სამიზნე ცნება, საკითხი, კონტექსტ–მაგალითი, კომპლექსური დავალება, რესურსი) მიხედვითაა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, ორიენტირებულია მოსწავლეზე. განსაზღვრული აქტივობები საშუალებას იძლევა მოსწავლემ საკუთარ გამოცდილებაზე ააგოს ახალი ცოდნა და უნარები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ამჟამად საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ კურიკულუმებში რა რესურსებიც აქვთ გათვალისწინებული (ძირითადად ელექტრონული - ტელესკოლის გაკვეთილები, PPT პრეზენტაციები, www.youtube.com-ს ვიდეორგოლები...) ისინი მეტნაკლებად უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების მიღწევას. **რჩევა:** სასურველია სკოლამ იზრუნოს სკოლის რესურსებით უზრუნველყოფაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივ კურიკულუმებში ძირითად საგანმანათლებლო რესურსად მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე სხვადასხვა ინტერნეტ რესურსები, მათ შორის: სტატიები, რუკები, გრაფიკები, დიაგრამები, ბუკლეტები, ფლაერები და ა. შ. აღნიშნული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით გათალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების სამივე საფეხურზე კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები მიზანმიმართულადაა შერჩეული და უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ინტერვიუზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება მრავალფეროვანი რესურსები, მათ შორის ციფრული მასალები, ვიდეოები და ვიზუალური საშუალებები, რაც ხელს უწყობს სასწავლო მასალის უკეთ აღქმას, ინტერესის ზრდასა და განსხვავებული სასწავლო საჭიროებების გათვალისწინებას. აღნიშნული პრაქტიკა დადებითად აისახება მოსწავლეთა ჩართულობასა და სწავლის ეფექტიანობაზე. **რჩევა:** სასურველია უცხოური ენის კათედრამ მეტად გააძლიეროს საკუთარი, კონტექსტზე მორგებული ციფრული საგანმანათლებლო რესურსების შექმნა. მოსწავლის საჭიროებებზე დაფუძნებული მასალების განვითარება ხელს შეუწყობს როგორც კურიკულუმის კიდევ უფრო ეფექტიან იმპლემენტაციას, ისე სწავლების პროცესის ინდივიდუალიზაციას და ინოვაციური მიდგომების დანერგვას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო შინაარსის - სასწავლო მასალა და ელ. რესურსები, ილუსტრაციები, მასწავლებლის მიერ შექმნილი რესურსები სკოლის სამივე საფეხურზე უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

სახელმწიფო ენა	კურიკულუმში წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსი სწორად და მიზნობრივად არის შერჩეული. პედაგოგები ძირითად სასწავლო რესურსად იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ამასთანავე, შემოქმედებითი ხასიათის დავალებებზე მუშაობისას მითითებული აქვთ სხვადასხვა ელექტრონული რესურსი და დამხმარე მასალა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	მათემატიკის კურიკულუმებში წარრმოდგენილია თემის დამუშავებისას სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი სასწავლო რესურსი, რომელიც ხელ უწყობს კურიკულუმით განსაზული სწავლის სედეგების მიღწევას. ძირითადად გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო, შესაბამისი გვერდების მითითებით, ასევე სხვადასხვა სასწავლო ელექტონული რესურსი. სასწავლო პროცესში რესურსების აქტიური გამოყენება დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროსაც. **რჩევა:** · სასურველია სასწავლო რესურსი იყო მრავალფეროვანი; · სასურველია, ელექტრონულ რესურსები წარმოადგინეთ ბმულების სახით, შესაბამისი სახელწოდების მითითებით; **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
სპორტი	კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები მრავალფეროვანი, მიზნობრივი და მოსწავლეზე ორიენტირებულია, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეული თემის ფარგლებში მასწავლებლების მიერ შერჩეული და წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო რესურსი ლინკების სახით: სახელმძღვანელოები, გზამკვლევები, პრეზენტაციები, ვიდეომასალა და დამატებითი საინფორმაციო წყაროები სპორტის სხვადასხვა სახეობის წესების, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და უსაფრთხოების საკითხების შესახებ. აღნიშნული რესურსები შერჩეულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებისა და მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტურ დაგეგმვასა და ორგანიზებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	საგნობრივი კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, სადაც წარმოდგენილი გრძელვადიანი მიზნების ფარგლებში წარმოდგენილი იდეა/პირობა კომპლექსური დავალებები, შევსებული სტანდარტის შედეგების მისაღწევი დეტალების (სამიზნე ცნება, საკითხი, კონტექსტ-მაგალითი, კომპლექსური დავალება, რესურსი) მიხედვითაა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია, როგორც ძირითადი რესურსები (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ასევე მრავალფეროვანი ელექტრონული თუ ბეჭდური რესურსი, რომლებიც სრულად ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, ის რომ სწავლების დიფერენცირებული მიდგომა და ზოგადად სასწავლო პროცესის ინკლუზიური ხედვა სასკოლო სივრცეში გულისხმობს პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. სასწავლო პროცესში ისინი შეძლებისდაგვარად ითვალისწინებენ დიფერენცირებულ მიდგომას ყველა მოსწავლესთან. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, სასკოლო საზოგადოება უზრუნველყოფს მოსწავლეთა მხარდაჭერას მათზე მორგებული კურიკულუმების (ინდ. სასწავლო გეგმის) შემუშავებითა და დანერგვით, სასწავლო პროცესში დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებით, პროექტების, საკლუბო თუ სხვადასხვა აქტივობების განხორციელებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენის სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი ხასიათდება ინკლუზიურობით და ეფუძნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს. კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, საჭიროებებსა და ინტერესებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის აქტიურ ჩართულობასა და აკადემიური პოტენციალის განვითარებას. გამოყენებული მიდგომები ხელს უწყობს თანასწორი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას, სადაც ყველა მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა მიაღწიოს კურიკულუმით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. აღნიშნული პრაქტიკა დადებითად აისახება როგორც სწავლების ეფექტიანობაზე, ისე მოსწავლეთა მოტივაციასა და თვითრეალიზაციაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი, მოსწავლეზე ორიენტირებული დავალებები, რაც მათ საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას უწყობს ხელს. წლის დასაწყისში, სამივე საფეხურზე პედაგოგებს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით კურიკულუმში შეაქვთ ცვლილებები, მოსწავლეებს სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებს. სსსმ მოსწავლეებისთვის, საჭიროებისამებრ, შემუშავებული აქვთ ინდივიდუალური გეგმები, რომელთა დახვეწას და სრულყოფას გეგმავენ კომპლექსური, კონტექსტის მქონე ტიპის დავალებების მოდიფიცირების საშუალებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა იწყება მოსწავლის საჭიროებების დადგენით და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კათედრის წევრებმა გასაუბრებაზე დაადასტურეს რომ სწავლა-სწავლების პროცესში იყენებენ ინკლუზიურ/დიფერენცირებულ მიდგომებს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, საჭიროებებსა და ინტერესებს და სასწავლო პროცესს ამ საჭიროებებზე მორგებულად გეგმავენ და ახორციელებენ. აქვთ სსს მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილება. თანამშრომლობენ სპეცმასწავლებელთან, შესაბამისად ერთობლივად შემუშავებულ აქვთ ისგ-ები. პედაგოგებმა გამოხატეს მზაობა სასწავლო პროცესს მომავალშიც დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებით წარვმართავენ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ცხადი გახდა, რომ სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს. მათ გააზრებული აქვთ მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების მრავალფეროვნება და შეუძლიათ მათი ინტერესებისა და ფიზიკური მზაობის შესაბამისად დავალების მოდიფიცირება და მოსწავლის საჭიროებებზე მორგება, რაც დასტურდება წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმით. **რჩევა - დაწყებითი საფეხური:** სასურველია მე-3 კლასის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში მასწავლებელმა ყველა სამიზნე ცნების მიმართ აღწეროს მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონე, გრძელვადიანი მიზნები, მოკლევადიანი/შუალედური მიზნები და შესაბამისად ყველა სამიზნე ცნების მიმართ აღწეროს პროგრესის შეფასება. ასევე სასურველია მიუთითოს რა საგანმანათლებლო რესურსებს იყენებს შუალედური მიზნების განსახორციელებლად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის მიხედვით ჩანს, რომ წარმოდგენილია მოსწავლეზე მორგებული, მრავალფეროვანი სასწავლო მასალა და ელექტრონული რესურსები, რაც მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში ჩართულობას უწყობს ხელს. მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მოსწავლეების შეფასებისთვის გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სამივე საფეხურზე მასწავლებლებმა წარმოადგინეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების როგორც ზოგადი რუბრიკები, სადაც კრიტერიუმები გარკვეულ უნარებზეა მორგებული, ასევე წარმოდგენილია კონკრეტული თემის და კონკრეტული საკითხის სამიზნე ცნებებზე მორგებული შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ იყენებენ მრავალფეროვან განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, კერძოდ, საშინაო დავალების შეფასების რუბრიკა, საკლასო დავალების შეფასების რუბრიკა, თვითშეფასება და ურთიერთშეფასება. მაგრამ, ვიზიტამდე და ვიზიტის შემდეგ სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, მოთხოვნის მიუხედავად, არ იძებნება კონკრეტულად ერთ შემოქმედებით დავალებაზე მორგებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები, წარმოდგენილი რუბრიკები ზოგადი ხასიათისაა. აღნიშნულიდან გამომდინარე მასწავლებლებს მიეცათ შემდეგი. **რჩევა:** თითოეული შემოქმედებითი დავალება საჭიროებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკის შემუშავებას, რუბრიკების შემუშავებისას საკითხის შინაარსთან ერთად – მნიშვნელოვანია გაითვალისწინოთ შემოქმედებითი ხასიათის დავალების კრიტერიუმები (თუ რა უნდა წარმოადგინოს მოსწავლემ შემოქმედებით დავალებაში). ასევე, გასათვალისწინებელია საგნობრივ სტანდარტებში განსაზღვრული „თითოეული თემის ფარგლებში შედეგების მიღწევების ინდიკატორები“ და ის სამიზნე ცნებები – რომლებსაც მიემართება ესა თუ ის შემოქმედებითი დავალება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, თუმცა **სასურველია** უცხოური ენის კათედრამ სამივე საფეხურზე უფრო კონკრეტული და დეტალურად გაწერილი შეფასების რუბრიკები გამოიყენოს, რომლებიც ეფუძნება სამიზნე ცნებებსა და მათთან დაკავშირებულ სწავლის შედეგებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა	სკოლის სამივე საფეხურზე შეფასების სისტემა მოსწავლეზეა ორიენტირებული. მოსწავლეებისათვის და მშობლებისათვის ცნობილია შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები. მოსწავლეებმა ყოველთვის იციან, რა კრიტერიუმით ხდება მათი შეფასება. შეფასების რუბრიკებში დეტალურადაა გაწერილი შეფასების მიზნები და კრიტერიუმები. შეფასების რუბრიკების შექმნის პროცესი ჩართული არიან თავად მოსწავლეებიც, რაც უზრუნველყოფს შეფასების გამჭირვალობას და ობიექტურობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას.ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.. წარმოდგენილია შემოქმედებითი ტიპის დავალებები მკაფიოდ ჩამოყალიბებული შეფასების კრიტერიუმებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები. შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი პროცესი. შეფასების პროცესში მოსწავლეებს ვაძლევთ კონსტრუქციულ უკუკავშირს, აღნიშნეს კათედრის წევრებმა გასაუბრებისას და გამოხატეს მზაობა, მომავალშიც შეფასების რუბრიკების შემუშავებისას დაეყრდნობიან ესგ-ის მოთხოვნებს და შემუშავდება მოსწავლის შეფასების პრინციპების, მიზნების და ამოცანების გათვალისწინებით მათემატიკის საგნობრივი სტანდარტების მიღწევის შედეგებზე დაყრდნობით. **რჩევა:** · მიზანშეწონილია, შეფასების რუბრიკები შემუშავდეს მათემატიკის სტანდარტის შესაბამისად, თემების ფარგლებში მიღწევის ინდიკატორებისა და გრძელვადიან მიზნებზე დაყრდნობით; **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
სპორტი	მასწავლებლებმა წარმოადგინეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ზოგადი კრიტერიუმებით. შეფასება ეხმარება მასწავლებელს სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვასა და მართვაში. **რჩევა - დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური:** სასურველია, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებმა შეიმუშაონ შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებზე დაფუძნებით კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა თემისთვის სამივე საფეხურზე, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემატურობასა და თანმიმდევრულობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

ტექნოლოგიები	წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და გასაუბრებაზე დაყრდნობით, სკოლაში მოსწავლეთა შეფსება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. კათედრამ წარმოადგინა სხვადასხვა დავალების შეფასების რუბრიკები, როგორც ზოგადი, ისე ცნებებთან მიმართებით. კათედრა აგრძელებს ცნებებზე ორიენტირებული რუბრიკების შექმნას, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობასა და ობიექტურობას. ***რჩევა:*** *სასურველია მომდევნო სასწავლო წლისთვის მასწავლებლებმა კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა დავალებისთვის შეიმუშაონ ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებთან, ასევე ზრდის შეფასების ვალიდურობას, სანდოობასა და სამართლიანობას.* **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებს, თან ახლავს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, წარმოდგენილია თვითშეფასების ფორმებიც. აღნიშნული შეფასებები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს და სრულად ემსახურება მოსწავლეთა განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
2. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
3. საგნობრივი კურიკულუმები (დაწყებითი, საბაზო, საშუალო)
4. ვერიფიკაციის დოკუმენტი;
5. სკოლის მიერ წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებების მტკიცებულებები
6. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
7. შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები
8. ისგ

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებების და სხვა განხორციელებული აქტივობების ამსახველი მასალა, ასევე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის ანგარიშები ადასტურებს რომ სასწავლო პროცესი სამივე საფეხურზე იგეგმება სასკოლო კურიკულუმების შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი კურიკულუმები მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვანი საკითხების შესწავლისა და სიღრმისეულად გაცნობის საშუალებას, შემოქმედებითი ბუნების დავალებები კი მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს თავი წარმოიდგინოს სხვადასხვა რეალურ გარემოში, უბიძგებს მას განსხვავებული კონტექსტების საფუძველზე შექმნას შემოქმედებითი ხასიათის პროდუქტები. არჩევანისა და გამოხატვის თავისუფლება მოსწავლეებში ამაღლებს მოტივაციას და ხელს უწყობს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვას. სკოლის თვითშეფასების ფორმაში მოცემული აღწერილობის თანახმად, გარდა კომპლექსური დავალებებისა მოსწავლეების აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას უზრუნველყოფს საკლასო თუ სასკოლო პროექტები. ინტერვიუში აღნიშნეს, რომ გეგმავენ ფორმალური და არაფორმალური განათლების კომპონენტების ინტეგრირების გაძლიერებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებისა და კათედრასთან ჩატარებული გასაუბრების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ უცხოური ენის კათედრის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი ხასიათდება სისტემურობით, მიზნობრიობითა და კურიკულუმთან თანხვედრით. სწავლების დაგეგმვა ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს როგორც თემატური ერთეულების, ისე სასწავლო აქტივობებისა და მიზნების ლოგიკურ და თანმიმდევრულ განვითარებას. კათედრის მიერ განხორციელებული პროექტული სწავლება დამატებით ამდიდრებს საგანმანათლებლო პროცესს, ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდას, კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობისა და კომუნიკაციური უნარების განვითარებას. აღნიშნული პრაქტიკა ქმნის ხელსაყრელ პირობებს მოსწავლეთა კომპეტენციების განვითარებისა და კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი იმგვარადაა დაგეგმილი, რომ იგი შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებს და მიზნებს. სწორი დაგეგმვიდან გამომდინარე სასწავლო პროცესი წარიმართება კურიკულუმის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის შედეგიანად წარმართვას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარით, წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ან კომპლექსური ბუნების დავალებებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კათედრის წევრებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესს ვახორციელებთ შემუშავებული და დამტკიცებული მათემატიკის კურიკულუმების შესაბამისად, სამიზნე ცნებებისა და თემის ფარგლებში შედეგის მიღწევის ინდიკატორების ორიენტირით, რაც დასტურდება სკოლის მიერრ წარმოდგენილი მასალებით: განხორციელებული შემოქმედებითი დავალებებით, აქტივობებით და ა შ. პედაგოგებმა გამოთქვეს მზაობა, იმისა რომ მომავალშიც ანალოგიურად წარიმართება სასწავლო პროცესი შემუშავებული კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში სხვადასხვა თემასთან დავალების იდეად განსაზღვრულია შიდა სასკოლო და საკლასო სპორტული ფესტივალების ჩატარება. მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე ცხადი გახდა, რომ განხორციელდა სპორტული ფესტივალები, მათ შორის დაწყებით საფეხურზე „მხიარული სტარტები“ მძლეოსნობის ელემენტებით და „მინი ფეხბურთი“, საბაზო და საშუალო საფეხურზე „ფეხბურთი“ და „ფრენბურთი“. ამასთან, სკოლის მოსწავლეები სპორტის მასწავლებლის ხელმძღვანელობით ამხანაგურ შეხვედრებს აწყობენ ფეხბურთში და მაგიდის ჩოგბურთში მუნიციპალიტეტის სხვა სკოლებთან. სკოლის ფრენბურთელ გოგონათა გუნდმა სხვადასხვა დროს წარმატებით იასპარეზა სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაზე და რაიონში პირველი, ხოლო რეგიონის მასშტაბით მეორე ადგილი დაიკავა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

ტექნოლოგიები	წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებული სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **რჩევა:** სასურველია, მომვალი სასწავლო წლიდან, კურიკულუმის დანერგვა-განხორციელებისას, გაითვალისწინონ სწავლ-სწავლების თანამედროვე მეთოდები. (თამაშები, ქვიზები, ინტერაქტიული აქტივობები ხელოვნური ინტელექტის გამოყენები). ასევე აქტიურად ითანამშრომლონ სხვა კათედრებთან და დაგეგმონ ინტეგრირებული გაკვეთილები/პროექტები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე, შეფასებებსა და სხვადასხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, აგრეთვე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

„კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის“ მიხედვით, კურიკულუმის განვითარება განიხილება როგორც უწყვეტი და ციკლური პროცესი, რომელიც მოიცავს კურიკულუმის შემუშავებას, დანერგვას, მონიტორინგსა და შეფასებას, ასევე გადასინჯვასა და რევიზიას. აღნიშნული მიდგომა ქმნის შესაძლებლობას, რომ სკოლამ სასწავლო პროცესში გამოვლენილი საჭიროებებისა და მიღებული შედეგების საფუძველზე მოახდინოს შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვა და განხორციელება.

„ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ მუხლი 6 განსაზღვრავს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი მოიცავს პროცესებთან და კურიკულუმებთან დაკავშირებული რისკების შეფასებას, შემოწმების წლიური გეგმის შედგენას, დასკვნის მომზადებას, უკუკავშირსა და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს. ასევე, მუხლი 8 ითვალისწინებს არაგეგმიური შემოწმების შესაძლებლობას მიღებული ინფორმაციის ან კვლევის შედეგების საფუძველზე.

დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში არსებობს ისეთი მექანიზმები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა გამოვლენილი საჭიროებების საპასუხოდ გადაიხედოს მიმდინარე პროცესი და დაიგეგმოს შესაბამისი რეაგირება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას წარმოდგენილი აქვს ვერიფიკაციის დოკუმენტი, სადაც ჩანს, რომ ვერიფიკაციის მიზანი სკოლაში შეფასების პროცესის გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და ერთიანი სტანდარტების დაცვაა. ასევე ვერიფიკაციის პროცესი სკოლაში უზრუნველყოფს, რომ მოსწავლეთა შეფასებები იყოს სამართლიანი, სტანდარტებზე მორგებული და გამჭვირვალე. რეგულარული მონიტორინგი და აქტივობების დოკუმენტირება ხელს უწყობს სწავლებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალების ნიმუშები, შემოქმედებითი დავალებები, შეფასების რუბრიკები, ასევე სკოლის ვერიფიკაციის დოკუმენტი, ადასტურებს რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური , სანდო და სამართლიანი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	შეფასების სისტემა შემუშავებული და გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების რუბრიკების შეთანხმება ხდება კათედრებზე, მოსწავლეებისთვის ნათელია თუ რის მიხედვით ფასდებიან ისინი, იციან, თუ რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა ნაშრომმა. შეფასების სქემა მკაფიოა, რაც განაპირობებს მის გამჭირვალობას, სანდოობას, ობიექტურობას და თანაბარ სამართლაინობას მოსწავლეების მიმართ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლაში დანერგილი შეფასების სისტემა შეესაბამება შეფასების ძირითად პრინციპებს და ხასიათდება ვალიდურობით, გამჭვირვალობით, სანდოობით, ობიექტურობითა და სამართლიანობით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე სკოლაში დანერგილი შეფასების სისიტემა არის ვალიდური, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ამას ადასტურებს ის, რომ ესთეტიკის კათედრის მასწავლებლებს აქვთ გააზრებული, რომ რამდენად მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა და მშობლებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა. შეფასების რუბრიკების და კრიტერიუმების შექმნის პროცესში ჩართული არიან თავად მოსწავლეები, რას სისტემას ეფექტურს და სანდოს ხდის. კათედრაზე ეფექტურად იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ კომენტარებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუ ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. კათედრის მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილია რუბრიკები, როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასებისა. მასწავლებლებთან ინტერვიუდან იკვეთება, რომ გაკვეთილზე განხორციელებული ცალკეული აქტივობები შესაბამისი კრიტერიუმით ფასდება, რომელებზეც მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა	სკოლამ წარმოადგინა მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები, რომლის შემუშავება დაფუძნებულია მათემატიკის საგნობრივ სტანდარტებში მიღწევის ინდიკატორებზე, რაც ადასტურებს მის ვალიდურობას. სანდოა, რადგან გასაზომი კრიტერიუმებია წარმოდგენილი, სამართლიანია, რადგან შეფასება დამოკიდებულია ობიექტურ შეფასების სისტემაზე. გამჭირვალეა, რადგან მოსწავლეებისათვის წინასწარ ცნობილია კრიტერიუმები, იგივე დასტურდება კათედრის წევრების მიერ გასაუბრების დროს და განმტკიცებულია წარმოდგენილი რუბრიკებით. **რჩევა:** · მიზანშეწონილია, შეფასების რუბრიკები, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი ეყდნობოდეს მათემატიკის საგნობრივ სტანდარტიის თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
სპორტი	მასწავლებლებმა წარმოადგინეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ზოგადი კრიტერიუმებით. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელი კომენტარის ისეთ საშუალებებს როგორიცაა: სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, მოსწავლის თვითშეფასება. მასწავლებლები წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმებს, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვრვალობასა და სამართლიანობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და გასაუბრებაზე დაყრდნობით,სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. შეფასება ემყარება მოსწავლეთა ინდივიდუალურ წინსვლასა და პროგრესს, იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. **რჩევა:** მომდევნო სასწავლო წლისთვის კარგი იქნება კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა დავალებისთვის შეიმუშაონ სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებზე ცნებებსა და ქვეცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები, რაც ხელს შეუწყობს შეფასების სისტემატურობასა და თანმიმდევრულობას, ობიექტურობასა და გამჭვირვალობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას შემუშავებული და განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები. შეფასების რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს. წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასება არის სანდო, ვალიდური, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

„ვერიფიკაციის დოკუმენტში“ აღწერილია გეგმვის, მონიტორინგის, შეფასების, ანალიზისა და გაუმჯობესების ეტაპები.
დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლაში განსაზღვრულია შეფასების პროცესის შიდა კონტროლისა და გადამოწმების მექანიზმები. დოკუმენტების მიხედვით, სკოლა ახორციელებს ჟურნალების ჩანაწერების შემოწმებას, მოსწავლეთა ნამუშევრების განხილვასა და შეფასების შედეგების ანალიზს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ თანამშრომლებს გააზრებული აქვთ შეფასების ვერიფიკაციის მნიშვნელობა, თუმცა პროცესი ჯერ კიდევ საჭიროებს მეტად სისტემურ და დოკუმენტირებულ განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

„სასკოლო სასწავლო გეგმა“ ერთადერთი დოკუმენტია, სადაც განსაზღვრულია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციისა და მტკიცებულებების შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. თუმცა, „სასკოლო სასწავლო გეგმა“ დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით, რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს N785 ბრძანებასთან და ასევე, დოკუმენტში აღინიშნება ავთენტურობის ხარვეზი. ვინაიდან “სასკოლო სასწავლო გეგმა“ ყოველწლიურად მტკიცდება და არის სასწავლო წლის დასასრული, მომავალი სასწავლო წლისთვის მნიშვნელოვანია მისი შექმნა და დამტკიცება რეგულაციების მიხედვით.

რჩევა: 2026/2027 სასწავლო წლისთვის, „სასკოლო სასწავლო გეგმა“ შემუშავდეს და დამტკიცდეს კანონმდებლობის შესაბამისად და აღმოიფხვრას ავთენტურობის ხარვეზი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
2. სასკოლო სასწავლო გეგმა
3. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
4. საგნობრივი კურიკულუმები (დაწყებითი, საბაზო, საშუალო)
5. ვერიფიკაციის დოკუმენტი;
6. სკოლის მიერ წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებების მტკიცებულებები
7. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
8. შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები
9. ისგ

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა იყენებს სკოლაში არსებულ ძირითად მატერიალურ რესურსებს – გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სხვადასხვა ელექტრონულ რესურსებს. ეს რესურსები შესაბამისობაშია სასწავლო მიზნებთან. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივ კურიკულუმებში ძირითად საგანმანათლებლო რესურსად მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე მითითებულია სხვადასხვა დამხმარე სასწავლო რესურსები, როგორიცაა: ინტერნეტ რესურსები, მათ შორის: სტატიები, რუკები, გრაფიკები, დიაგრამები, ანიმაციები, ვიდეოფილმები და ა. შ. აღნიშნული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით გათალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრა სასწავლო პროცესში ძირითად რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, რაც უზრუნველყოფს სწავლების სტრუქტურირებულობასა და კურიკულუმთან შესაბამისობას. ამასთანავე, კურიკულუმებში გათვალისწინებულია დამხმარე რესურსები, მათ შორის ვიდეო მასალა, რომელიც მიმართულია მოსწავლეთა ლექსიკურ–ენობრივი უნარების განვითარებაზე. **რჩევა:** სამივე საფეხურზე, კურიკულუმის სრულყოფის მიზნით, სასურველია უცხოური ენის კათედრამ უფრო დეტალურად და სისტემურად ასახოს ის დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები, რომელთა გამოყენებაზეც მასწავლებლებმა გასაუბრებისას ისაუბრეს. აღნიშნული რესურსების კურიკულუმში ასახვა ხელს შეუწყობს მათი მიზნობრივად და თანმიმდევრულად გამოყენებას, გააძლიერებს სასწავლო პროცესის დაგეგმვის ხარისხს და უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პრაქტიკის მეტ გამჭვირვალობასა და ერთიანობას. ასევე, ეს პრაქტიკა დაეხმარება სხვა პედაგოგებს მოახდინონ აღნიშნული რესურსების ეფექტიანად ინტეგრირება თავიანთ სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე კათედრაზე ეფექტურად იყენებენ კურიკულუმით განსაზღვრულ მრავალფეროვან და მოსწავლეზე ორიენტირებულ ძირითად და დამხმარე სასწავლო შინაარსის – სასწავლო რესურსს (ელ. რესურსები, ბმულები, ილუსტრაციები, მასწავლებლის მიერ შექმნილი რესურსები). გარდა სამინისტროს მიერ მოწოდებული ციფრული რესურსებისა, მასწავლებლები თავადაც ქმნიან სხვადასხვა სახის რესურსებს და აქტიურად იყენებენ მიზნის მისაღწევად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვეა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და რესურსების შერჩევისას ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლის მიერ გამოგზავნილ კურიკულუმებში წარმოდგენილია თითოეული თემის დამუშავების ფარგლებში გაწერილია სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი საგანმანათლებლო, როგორც გრიფმინიჭებული სახელმძღვნელოები, ასევე სხვადასხვა ელექტრონული რესურსი. ძირითად და დამხარე რესურსებს აქტიურად ვიყენებთ სასწავლო პროცესში , კურიკულუმით განსაზღრული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, აღნიშნეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს. **რჩევა:** · საურველია სასწავლო რესურსები იყოს მრავალფეროვანი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
სპორტი	კურიკულუმებში თითოეულ თემასთან წარმოდგენილია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი ლინკების სახით: სახელმძღვანელოები, მეთოდური გზამკვლევები მასწავლებლებისთვის, პრეზენტაციები და ვიდეორესურსი სპორტის სხვადასხვა სახეობის ტექნიკური ელემენტების შესრულების ჩვენებით. ამასთანავე, გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები პირდაპირ არის დაკავშირებული კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებსა და შედეგებთან, რაც ქმნის ხელსაყრელ გარემოს როგორც ფიზიკური და პრაქტიკული უნარების, ასევე თანამშრომლობისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისთვის. აღნიშნული მიდგომა სასწავლო პროცესს ხდის უფრო ეფექტურს, დინამიკურსა და შედეგზე ორიენტირებულს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

ტექნოლოგიები	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში. სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები. სკოლაში მოქმედი 20 ლეპტოპი, 2 პროექტორი, 3 პრინტერი და 4 პერსონალური კომპიუტერი. წარმოდგენილი ელექტრონული რესურსები ხელს უწყობს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია, თუ რომელ ძირითად სახელმძღვანელოებს იყენებს სკოლა და რომელი დამატებითი რესურსები აქვთ შერჩეული სწავლებისას, კურიკულუმებში ჩაშენებულია ელექტრონული რესურსებიც. წარმოდგენილია რამდენიმე გაკვეთილის გეგმა, რომლებშიც ჩანს დასახელებული რესურსების ეფექტური გამოყენება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ სხდომის ოქმში ჩანს, რომ ძირითად გრიფირებულ და დამხმარე სახელმღვანელოებს კათედრა ირჩევს წლის დასაწყისში. სკოლა თავად უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდურობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	დამხმარე სასწავლო რესურსები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან, რესურსები ლოგიკურადაა შერჩეული და მიმართებაშია თითოეული თემის ფარგლებში დასამუშავებელ საკითხებთან, ასევე მასწავლებლები უზრუნველყოფენ რესურსების სანდოობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლაში უზრუნველყოფილია დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის პროცესი, რომელიც სისტემურად და მიზნობრივად ხორციელდება. აღნიშნულ პროცესში აქტიურად არიან ჩართული უცხოური ენების კათედრის წარმომადგენლები, რაც ხელს უწყობს რესურსების შესაბამისობისა და ხარისხის უზრუნველყოფას, მათ შესაბამისობას სასწავლო მიზნებთან და კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგებთან. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე სკოლის მიერ უზრუნველყოფილია არსებული და შექმნილი დამხმარე რესურსების ვალიდაცია. ისინი სრულ შესაბამისობაშია სასწავლო მიზნებთან და კურიკულუმით განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებთან. რესურსი შერჩეულია მიზნობრივად თემატური ერთეულების მიხედვით. პედაგოგების მაღალი კომპეტენცია და სტრატეგიების ფლობის დონე, უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	როგორც პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე. გამოიყენება მხოლოდ ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. მტკიცებულებად წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები, კათედრის ოქმები და დამტკიცებული რესურსების ნუსხა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კათედრის წევრებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში ძირითადად იყენებენ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, ამასთანავე სასწავლო პროცესში იყენებენ დამხმარე რესურსებს, რომლის ვალიდაციას განახორციელებენ კათედრაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
სპორტი	მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სასწავლო წლის დასაწყისში კათედრის სხდომაზე ხორციელდება საგანმანათლებლო რესურსების განხილვა, შეფასება და შერჩევა. რესურსების ვალიდაციის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მათ შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან, მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებთან და სასწავლო მიზნებთან, ასევე რესურსების სანდოობასა და ხარისხს. შერჩეული რესურსები ორიენტირებულია სასწავლო მასალის სიღრმისეულ გააზრებაზე, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსების რელევანტურობასა და ეფექტურობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	საგნობრივ კათედრაზე შერჩეულ დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას სკოლა თავად უზრუნველყოფს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება დაწყებითი კათედრის შეხვედრის ფარგლებში. სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევს, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სამინისტროს მიერ მოწოდებულ რესურსებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	შესაბამისობის გეგმაში მითითებული აქვთ , რომ კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით , მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **რეკომენდაცია:** სკოლამ გაითვალისწინოს შესაბამისობის გეგმაში მითითებული აქტივობის – საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების სტანდარტში მოყვანა–დათქმულ ვადაში შესრულება. **(2026 წლის ივნისიდან –2027 წლის მაისამდე).** **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მოსწავლეები სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი მატერიალურ–ტექნიკური რესურსებით, რაც უზრუნველყოფს საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	კათედრის წევრებთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებლებს შესაბამისი მატერიალური რესურსებით, რაც ქმნის წინაპირობას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისი სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფენ სკოლაში და კათედრაზე არსებული შესაბამისი მატერიალური რესურსები: გრიფირებული სახელმძღვანელოები, დამხმარე ციფრული რესურსები, ილუსტრაციები და სხვა. სკოლაში არსებული ტექნიკური აღჭურვილობა თავის მხრივ საშუალებას აძლევს პედაგოგებს აქტიურად და ეფექტურად მიმართონ მრავალფეროვანი სასწავლო რესურსების გამოყენება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	თვითშეფასების კითხვარითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. საკლასო სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლა აქვს მატერიალური რესურსი, მოსწავლეთა ადგილების ზღრული რაოდენობის გათვალისწინებით და უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭირო რესურსებზე წდომას. სკოლას აქვს შემუშავებული მატერიალური რესურსების სარგებლობის წესი. სკოლაში არის საკმარისი რაოდენობის მაგიდები, სკამები, დაფები, კომპიუტერები, თვალსაჩინოებები, ტაბულები და ა შ, რომელთა გამოყენებითაც უზრუნველყოფილია კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა, რაც წარმოდგენილია სკოლის მიერ შესაბამისი დოკუმენტებით და დასტურდება კათედრის წევრებმა გასაუბრების დროსაც. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლა ამ ეტაპზე იმყოფება ძველ შენობაში, თუმცა უახლოეს პერიოდში გადავლენ ახალ შენობაში, სადაც არის განახლებული და კეთილმოწყობილი შიდა სპორტული დარბაზი გასახდელებით. მასწავლებლებმა ინტერვიუზე აღნიშნეს, რომ აქვთ ყველა საჭირო სპორტული ინვენტარი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლა, კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს მოწავლეთა საჭიროებებზე მორგებული და შესაბამისი მატერიალური რესურსით – კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აკმაყოფილებს კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სწავლის შედეგების მისაღწევად სკოლა უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლას არ ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი და კურიკულუმის ეფექტიანი განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი. სკოლაში არის 18 მასწავლებელი, მათ შორის 14 არის უფროსი მასწავლებელი, ხოლო 4 მასწავლებელს არ აქვს დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია. სკოლას, მიუხედავად იმისა, რომ ჰყავს 1 სსსმ მოსწავლე, არ ჰყავს სპეციალური მასწავლებელი, თუმცა ჰყავს სსსმ მოსწავლის 1 ინდივიდუალური ასისტენტი. პედაგოგიური კადრები უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის უწყვეტობას.

სკოლას არ ყავს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი კვალიფიკაციის კადრი.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. რომლის თანახმადაც, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში შერჩეულ იქნება კვალიფიციური კადრი. შესრულების ვადა 2026 წლის სექტემბერი (აღნიშნული პრობლემა აღწერილია 3.1.2.4. ინდიკატორში და გაცემულია შესაბამისი რეკომენდაცია)

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
2. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
3. საგნობრივი კურიკულუმები (დაწყებითი, საბაზო, საშუალო);
4. ვერიფიკაციის დოკუმენტი;
5. საშტატო განრიგი;
6. Eschool -ის ბაზა;
7. კათედრის სხდომის ოქმები;
8. სკოლის მიერ წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებების მტკიცებულებები;
9. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;

10. შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები;
11. ისგ.

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

„კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის“ მე-9 მუხლში კურიკულუმის განვითარების პროცესი აღწერილია როგორც თანმიმდევრული და ურთიერთდაკავშირებული ციკლი, რომელიც მოიცავს: „(ა) კურიკულუმის შემუშავებას, (ბ) დანერგვას, (გ) მონიტორინგსა და შეფასებას, (დ) გადასინჯვასა და რევიზიას“. ამავე მუხლში აღნიშნულია, რომ დანერგვის პროცესის აღწერაზე ორიენტირებული ინსტრუმენტების საშუალებით გროვდება მონაცემები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც ხდება კურიკულუმის განვითარების პროცესის შესწავლა, მისი მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტი ასევე განასხვავებს მონიტორინგისა და შეფასების დანიშნულებას – მონიტორინგი პასუხობს შეკითხვას, მიმდინარეობს თუ არა პროცესი დაგეგმილის შესაბამისად, ხოლო შეფასება განსაზღვრავს რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს.
ამასთან, „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ განსაზღვრავს შეფასებისა და გაუმჯობესების ეტაპობრივ პროცესს, რომელიც მოიცავს დაგეგმვას, ინფორმაციის შეგროვებას, ანალიზს, რეკომენდაციების შემუშავებასა და მათი შესრულების მონიტორინგს. პოლიტიკა ასევე ითვალისწინებს როგორც გეგმურ, ისე საჭიროების შემთხვევაში არაგეგმიურ შეფასებას.

რჩევა: სასურველია სკოლამ უფრო მკაფიოდ ჩამოაყალიბოს მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტები, განსაზღვროს მონაცემთა შეფასების, ანალიზისა და გადაწყვეტილებების მიღების ერთიანი პროცედურა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

„ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის" მუხლი 10 განსაზღვრავს, რომ შეფასების შედეგად მომზადებული დასკვნა უნდა მოიცავდეს გამოვლენილ მიგნებებს, რეკომენდაციებსა და ხარვეზების გამოსწორების ვადებს. ასევე, „ვერიფიკაციის დოკუმენტში" აღნიშნულია, რომ შეფასებისა და ანალიზის შედეგად შესაძლებელია რეკომენდაციებისა და კორექტირებების განხორციელება.

სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა შედეგების ანალიზს და საჭიროების შემთხვევაში გეგმავს დამატებით აქტივობებს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შეფასების შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისა და მოსწავლეთა მხარდაჭერისთვის. თუმცა პრობლემების ანალიზისა და შემდგომი ინტერვენციების დოკუმენტირება ჯერ კიდევ არასისტემურ ხასიათს ატარებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

„კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია" ყურადღებას ამახვილებს მასწავლებელთა მხარდაჭერისა და პროფესიული განვითარების მნიშვნელობაზე.

დოკუმენტაციისა და გასაუბრებების საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში შეფასება ორიენტირებულია არა მხოლოდ კონტროლზე, არამედ მხარდაჭერაზე. მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელ უკუკავშირს და ცდილობენ მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებას. ამასთან, ინდივიდუალური მხარდაჭერის ფორმები ჯერ კიდევ ნაკლებად არის სისტემატიზებული.

რჩევა: სასურველია სკოლამ შეიმუშაოს მხარდაჭერის მექანიზმების უფრო მკაფიო სისტემა როგორც მოსწავლეების, ისე მასწავლებლებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
2. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
3. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

„ვერიფიკაციის დოკუმენტში“ მითითებულია ჟურნალების ჩანაწერების, შეფასების მასალებისა და სხვადასხვა დოკუმენტის შემოწმება.

პრაქტიკაში სკოლა აგროვებს და აანალიზებს მოსწავლეთა მიღწევებთან დაკავშირებულ მონაცემებს სხვადასხვა წყაროდან. მასწავლებლები იყენებენ როგორც წერით, ისე ზეპირ და პრაქტიკულ აქტივობებს. თუმცა, შეფასების წყაროების ანალიზი და მათი გამოყენების ერთიანი პრაქტიკა ჯერ კიდევ სრულად სისტემატიზებული არ არის.

რჩევა: სასურველია სკოლამ შეიმუშაოს შეფასების მრავალფეროვანი წყაროების გამოყენებისა და ანალიზის ერთიანი მიდგომა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

მიუხედავად იმისა, რომ 2.2.1.5-ში აღვნიშნე, „სასკოლო სასწავლო გეგმა“ არასწორად არის დამტკიცებული და ასევე აღმოსაფხვრელია ავთენტურობის ხარვეზი, „სასკოლო სასწავლო გეგმაში“ შეფასება წარმოდგენილია როგორც მოსწავლის განვითარების მხარდამჭერი პროცესი, რომელიც ორიენტირებულია არა მხოლოდ საბოლოო შედეგზე, არამედ მოსწავლის პროგრესის, სასწავლო პროცესში ჩართულობისა და მიღწევების შეფასებაზე. დოკუმენტი ითვალისწინებს შეფასების სხვადასხვა ფორმისა და აქტივობის გამოყენებას, რაც ქმნის შესაძლებლობას შეფასებისას გათვალისწინებულ იქნას განსხვავებული საგანმანათლებლო გარემოებები.

ამასთან, „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის“ მე-9 მუხლი მონიტორინგსა და შეფასებას განიხილავს როგორც მონაცემებზე დაფუძნებულ პროცესს, ხოლო „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ ითვალისწინებს შეფასების განხორციელებას სხვადასხვა გარემოებისა და გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით.

დოკუმენტაციისა და პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში შეფასება არ არის მხოლოდ ერთჯერადი შედეგის დაფიქსირება და არსებობს მიდგომა, შეფასებისას გათვალისწინებულ იქნას მოსწავლის განვითარების პროცესი, ინდივიდუალური პროგრესი და სასწავლო კონტექსტი. თუმცა ნაკლებად იკვეთება ამ მიდგომების სისტემური აღწერა და მათი ერთგვაროვანი გამოყენების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

„ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ მუხლი 9 განსაზღვრავს, რომ შეფასების პროცესში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას დოკუმენტაციის გამოთხოვა, ინტერვიუირება, გაკვეთილზე დასწრება და სხვადასხვა ტიპის მტკიცებულებების ანალიზი. ასევე, „ვერიფიკაციის დოკუმენტში“ აღწერილია ჟურნალების ჩანაწერების შემოწმება, ერთობლივი შეფასებები და შეხვედრები.

პრაქტიკაში სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდს, მათ შორის მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზს, შეფასებების შედარებასა და სასწავლო პროცესზე დაკვირვებას. ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ თანამშრომლებს გააზრებული აქვთ მონაცემებზე დაფუძნებული შეფასების მნიშვნელობა. თუმცა, მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტები და ანალიზის ფორმები ჯერ კიდევ საჭიროებს მეტად სტრუქტურირებულ მიდგომას.

რჩევა: სასურველია სკოლამ შეიმუშაოს მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის ერთიანი ინსტრუმენტები, რაც ხელს შეუწყობს შეფასების პროცესის უფრო ეფექტიან დაგეგმვას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

„ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ მუხლი 7 განსაზღვრავს, რომ შეფასებისა და მონიტორინგის პროცესში გათვალისწინებულია სხვადასხვა რისკ-ფაქტორი, მათ შორის საკანონმდებლო ცვლილებები, პროცესის გავლენა, ახალი თანამშრომლების რაოდენობა და სხვა გარემოებები. დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად ჩანს, რომ სკოლა აცნობიერებს სხვადასხვა ფაქტორის გავლენას სასწავლო პროცესისა და შეფასების ხარისხზე. პრაქტიკაში ადმინისტრაცია და მასწავლებლები ცდილობენ შედეგების ანალიზისას გაითვალისწინონ როგორც აკადემიური, ისე სხვა გარემოებები. თუმცა, აღნიშნული ფაქტორების გავლენის შეფასება ძირითადად აღწერითი ხასიათისაა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
2. სასკოლო სასწავლო გეგმა
3. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
4. ვერიფიკაციის დოკუმენტი
5. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი

„ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ მუხლი 10 განსაზღვრავს, რომ შეფასების შედეგად მომზადებული დასკვნა უნდა მოიცავდეს რეკომენდაციებს, ხარვეზების გამოსწორების გზებსა და შესაბამის ვადებს. ასევე, „ვერიფიკაციის დოკუმენტში“ აღნიშნულია, რომ შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია რეკომენდაციების შემუშავება და გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვა. პრაქტიკაში სკოლა ახორციელებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების განხილვას და საჭიროების შემთხვევაში განსაზღვრავს გაუმჯობესების მიმართულებებს. ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ რეკომენდაციების მნიშვნელობა, თუმცა რეკომენდაციების შესრულებისა და შემდგომი მონიტორინგის ერთიანი მექანიზმი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია.

რჩევა: სასურველია სკოლამ რეკომენდაციების შემუშავებისა და შესრულების პროცესს მისცეს უფრო სისტემური ხასიათი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს

„კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის“ მე-9 მუხლში აღწერილია კურიკულუმის განვითარების ეტაპები: „(ა) კურიკულუმის შემუშავება, (ბ) დანერგვა, (გ) მონიტორინგი და შეფასება, (დ) გადასინჯვა და რევიზია“. ამავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მონიტორინგისა და შეფასების საფუძველზე უნდა განხორციელდეს კურიკულუმის განახლება და საჭირო ცვლილებების შეტანა.

პრაქტიკაში გამოიკვეთა, რომ სკოლა აგროვებს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების მონაცემებს, განიხილავს შეფასების შედეგებს და ახორციელებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ანალიზს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ითვალისწინებენ წინა წლების გამოცდილებას და ცდილობენ სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას. თუმცა, კურიკულუმის რევიზიისა და ცვლილებების პროცესის დოკუმენტირებული და სისტემური პრაქტიკა ჯერ კიდევ სრულად ჩამოყალიბებული არ არის.

რჩევა: სასურველია სკოლამ უფრო მკაფიოდ აღწეროს, როგორ აისახება მონიტორინგისა და შეფასების შედეგები კურიკულუმის განახლებულ ვერსიაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
2. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
3. ვერიფიკაციის დოკუმენტი

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი 13/07/2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. აბაზაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: კ.ფარცვანია

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

საზოგადოებრივი მეცნრებების საგნობრივი ექსპერტი;

უცხო ენების სნობრივი ექსპერტი;

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი ;

ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;

სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;

მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;

სპორტის საგნობრივი ექსპერტი;

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი